645
1981
ეროვნული ბიბლიოთეკა



ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1981 წ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ, დღეს, ხვალ...

ჯერაც არ მინელებულა გუშინდელი შთაბეჭდილებანი, ჯერაც აღსავსენი ვართ ემოციებით, წლევანდელმა გაზაფხულმა რომ მოგვანიჭა! ყველა ჩვენგანი ხომ დიდი, დაუვიწყარი მოვლენების უშუალო მონაწილე და მოწმენი ვიყავით — ჩვენ-ჩვენი დიდი თუ მცირე წვლილი შეგვქონდა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში!

მოვლენები, მოვლენები — X ხუთწლედის წარმატებით დამთავრება ლ. ი. ბრეჟნევის გულითადმა მოლოცვამ რომ ბრწყინვალედ დააგვირგვინა; საქართველოს კპ XXVI და სკკპ XXVI ყრილობები; ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გმირული გარჯის კიდევ ერთი საქვეყნო აღიარება საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მერვედ მონიჭებით რომ აღინიშნა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. შევარდნაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება: ლიტერატორთა, ხელოვანთა და სპორტსმენთა დიდი გამარჯვებები ნიჭიერებისა და ოსტატობის საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში და ბოლოს ამ მოვლენათა გვირგვინისგვირგვინი — საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმები ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში, მის დედაქალაქში.

მნახველს არასოდეს დაავიწყდება ფილარმონიის საზეიმოდ მორთული დარბაზი, გულმხურვალე მოლოცვები; საოცრად ფერადოვანი, დიდებული პარადი კონსტიტუციის მოედანზე; ილუმინაციებით გაჩირაღდნებული დედაქალაქი თავისი მრავალსართულიანი ახალდასახლებებით და ძველი თბილისის ახლად აღდგენილი უბნების მშვენიერებით.

ამ გრანდიოზულმა სანახაობებმა, ამ საზეიმო განწყობილებებმა, ჩვენი ერის დიდი სულიერი ენერგიის კიდევ ერთმა გამობრწყინებამ დაიპყრო ყველა — წვეულნი თუ მასპინძელნი, რაც მშვენივრად გამოიხატა ჩვენი ძვირფასი სტუმრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებში: „დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა. და მარტო იმიტომ კი არა, რომ საქართველოში იციან მასპინძლობა, ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება ხოლმე, როცა საქმე კარგად მიდის. ეს კი ყველამ დავინახეთ და ვიგრძენით საქართველოში“...

დღეს, ვაჯამებთ — რა განვლილსა და განცდილს, ნაფიქრსა და ნაგრძნობს, ისევ და ისევ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამს ვიშველიებთ: „საქართველო ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას.“

ვიშველიებთ, რადგან ეს მაღალი შეფასება კიდევ მეტად ამახვილებს ჩვენს ყურადღებას, ამაღლებს ჩვენს პასუხისმგებლობას საბჭოთა საქართველოს სახელისა და ღირსების მიმართ.

და რაც უფრო ველტვით სრულყოფილი საქართველოს ხატებას, მით უფრო რელიეფურად იკვეთება ჯერ კიდევ მოსაგვარებელი პრობლემები, მით უფრო მოუთმენელია ჯერაც არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები.

ვ. ი. ლენინი ამა თუ იმ ზეიმის საუკეთესო აღნიშვნად მიიჩნევდა არსებულ ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილებას.

სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარეობდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული რჩევები და სურვილებიც, როგორც საიუბილეო ზეიმზე, ისე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საქმიანი საუბრის დროს. საპატიო სტუმარმა რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს ყველა პირობა გააჩნია საიმისოდ, რომ არა მარტო დაძლიოს არსებული ჩამორჩენა, არა მარტო ავიდეს საკავშირო დონემდე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მაჩვენებლის მიხედვით, არამედ დაიკავოს კიდეც ყველაზე მოწინავე პოზიციები მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში.

ამ საკითხებს — სადღეისო და სამომავლო ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი, რომელიც მიმდინარე წლის 18 ივნისს გაიმართა.

პლენუმზე უკანასკნელი მოვლენების ვრცელი, ღრმა ანალიზით გამოვიდა ამხ. ე. შევარდნაძე. აღნიშნა რა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის თბილისში ჩამოსვლის დიდი საერთო საკავშირო და საერთო პარტიული, ხოლო მის მიერ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის საერთაშორისო რეზონანსი, მომხსენებელი დეტალურად შეჩერდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასმულ ამოცანებსა და მათი გადაწყვეტის რაციონალური გზების ძიებაზე, მოგვიწოდა, კიდევ მეტი პასუხისმგებლობით ვიბრძოლოთ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის — ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისათვის; ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. ვებრძოდეთ ყოველგვარ უღირსსა და ნეგატიურს, ვამტკიცებდეთ კეთილსა და ნათელს.

ამ სადღეისო და სახვალიო ამოცანების გადასაწყვეტად გვრაზმავს დღეს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ რაზმის საკმაოდ დიდ ნაწილს დღეს საქართველოს ქალები შეადგენენ, ქალები, რომლებსაც თავიანთი უმაღლესი და უწმინდესი დანიშნულების — დედობის გარდა, დიდ მოვალეობად ოდითგანვე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ მშენებლობაში მონაწილეობა მიუჩნევიათ.

ამ მოვალეობის შეგნებით, დედა საქართველოს სახელისა და ძლიერებისათვის ილვწიან დღეს ჩვენი ქალები, კიდევ მეტად შუქმფინარე ხვალინდელი დღის დასამკვიდრებლად.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

# მეგობრობის გზა



საქართველოს სამხედრო გზა

საქართველოს სამხედრო გზა მეგობრობის გზაა, რომლითაც უძველესი დროიდან სარგებლობდნენ. მას დიდი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი წინაპრებისათვის. ამას ადასტურებს თავდაცვითი ხასიათის ნაგებობები, რომელთა ნაშთებმა ჩვენამდე მოაღწია.

საქართველოს ისტორიაში არსებობს ცნობა, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ გზას ქართველი მეფეები. მაგალითად, გამორკვეულია, რომ დავით აღმაშენებელმა დარიალის გზა მთლიანად შეაკეთებინა, როცა საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლებას აპირებდა.

მაგრამ დარიალის გზის მნიშვნელობა მთელი ძალით მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა, რაც რუსეთმა თავისი მზერა სამხრეთის მხარეს მიაპყრო, ამ გზას სამხედრო მნიშვნელობა მიანიჭა და საქართველოს სამხედრო დახმარება შეჰპირდა. ეს იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. „ცხინვალში მოწყობილ თათბირზე, — მოგვითხრობს თავის წიგნში („საქართველოს საგზაო მშენებლობა") ნ. კეზერელი-კოპაძე, — ერეკლე მეორემ და სოლომონ მეორემ გადაწყვიტეს, რუსეთის ჯარი იმერეთში დარიალის ხეობის გავლით ჩაეყვანათ, რადგან მაშინ, 1768 წელს კავკასიონზე უფრო მისაწვდომი გასასვლელი არ არსებობდა". მისივე ცნობით, მაშინ მეფე ერეკლეს ხევში დაახლოებული პირები გაუგზავნია და გზის გაწმენდა, ხიდების მოწყობა დაუვალებია.

ერეკლემ 1783 წელს, როცა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ საქართველოში რუსეთის რეზიდენტი ჩამოვიდა, დარიალის გზა მეორეჯერ შეაკეთებინა. თურმე იმ დროს თბილისიდან ჯვრის ულელტეხილამდე გზის მშენებლობაში 1.500 გლეხი მონაწილეობდა.

1795 წელს ერეკლე მეორე კვლავ შეუდგა გზის შეკეთებას. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ეს საქმე გიორგი XII განაგრძო.

1799-1802 წლებში დარიალის გზაზე თავისუფლად პირველად გაიარა ბორბლებიანმა ტრანსპორტმა. 1808 წლიდან კი ახალი მასშტაბით გაიშალა ამ გზის გაფართოება.

რუსეთისაკენ მიმავალი გზა მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე შენდებოდა და მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში დამთავრდა იმ საბოლოო სახით, დღეს ასე რომ ხიბლავს მოგზაურს.

საქართველოს სამხედრო გზა მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალურია. იგი საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონზე გადის (შიდა ქართლი, მთიულეთი, ხევი) და დარიალის ულამაზესი ხეობით ჩრდილოეთ ოსეთში გადადის. ეს გზა ბუნების სილამაზითა და ადამიანის შრომით შექმნილ ადგილებს მოიცავს, დიდებულ ხეობებსა და ბორცვებზე მიემართება და თითქოს ყინულოვანი მწვერვალების უსასრულობაში იკარგება.

ამ გზით უვლიათ ჩვენს დიდ წინაპრებს. ამ გზით უვლია მტერსა თუ მოყვარეს, მაგრამ ყველას ვერ დაუფარავს თავისი დიდი აღტაცება. ამ გზის მშვენიერება უქია მრავალ რუს, ქართველ თუ სხვა ეროვნების მწერალს, მოლექსეს, მხატვარს...

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა გარდატეხის ეტაპი იყო ქართველი ხალხისა და ამიერკავკასიის ყველა ხალხის ცხოვრებაში. ამ ისტორიულმა აქტმა იურიდიულად განამტკიცა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მისწრაფება — დაემყარებინა კავშირი რუსეთთან, რომელსაც ეროვნული და სოციალური განთავისუფლების მთელი იმედები დაუკავშირა.

ამ დიდი ისტორიული მოვლენის შედეგი ის იყო, რომ აღმოიფხვრა ქართველი ხალხის ფიზიკური გაქრობისა და ასიმილაციის საფრთხე, ფეოდალური ანარქიისა და ხონთქრის ოსმალეთის განაპირა მხარედ საქართველოს გადაქცევის საფრთხე. მშვიდობიანი შრომის პირობებში და შემდეგომში კაპიტალიზმის განვითარებამ დააჩქარა თვისებრივად ახალ სოციალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება. რუსეთთან საქართველოს შეერთებამ რადიკალურად იმოქმედა ხალხის სულიერ განვითარებაზე, აზიარა იგი მოწინავე რუსულ კულტურას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას, რუსეთის რევოლუციურ და განმათავისუფლებელ მოძრაობას.

„მეგობრობის ხელშეკრულების მე-200 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს საგანგებო დადგენილება „საქართველოს სამხედრო გზის გაუმჯობესების, კეთილმოწყობისა და არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმების შესახებ". მონიშნულია ამ გზის რეკონსტრუქციის, კეთილმოწყობისა და არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმების ღონისძიებათა გეგმა. გზის მშენებლობა-გაფორმება რესპუბლიკის სახალხო მშენებლობად არის მიჩნეული.

— ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, შექმნილია ამ სამუშაოების მიმდინარეობის რესპუბლიკური შტაბი, რომელსაც თავისი სამხატვრო საბჭო ჰყავს, — გვიამბობს საქართველოს სსრ საგზაო მშენებლობის სამინისტროს საქართველოს სამხედრო გზის მშენებარე ობიექტების დირექტორი შ. ქავთარაძე, — ამასთან, საქართველოს სსრ რაიონებსა და ქალაქებში შექმნილია ხელშემწყობი ჯგუფები, რომლებსაც პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები ხელმძღვანელობენ. დადგენილებით აგრეთვე განსაზღვრულია ამ დიდ საქმეში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო, მცხეთის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონული კომიტეტებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამხედრო გზა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის გზაა. ამ გზით მოვიდა ჩვენთან ოქტომბრის იდეები. ამიტომ მთელი ტრასის გასწვრივ აღმართულია რუსი და ქართველი მოღვაწეთა ძეგლები. მოეწყობა დასასვენებელი ადგილები, პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, გორკის სახელებთან დაკავშირებული მემორიალური კუთხეები. მეგობრობის გზის რეკონსტრუქცია და გაფორმება დაკავშირებულია საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდის მოვლენებთან, რომლებსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია ერთიან არქიტექტურულ-მხატვრულ ანსამბლში წყდება. ამას მისი არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმების გეგმაც გვიჩვენებს. გრანდიოზული სამუშაოები შესრულდება. მარტო უმთავრესი ობიექტი ოცდათერთმეტია! მათ შორის არის მემორიალები, მოზაიკური პანოები, ძეგლები, წყაროები, ნიშანსვეტები, სკულპტურული კომპოზიციები. მოხდება გზის გასწვრივ მდებარე ძეგლების რესტავრაცია, აღდგება და კეთილმოეწყობა დასასვენებელი პუნქტები, ავტოსადგომები, ლობები, წყაროები. მაგალითად, კეთილმოეწყობა ტურისტების დასახლება, დაბა ფასანაური, სიონი, კობი, დაბა ყაზბეგი, სოფელ გუდაურში აშენდება სასტუმრო (200 კაცისათვის).

ყველა მემორიალის თუ ძეგლის პროექტი ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მხატვრებისა და არქიტექტორთა ძალებით შესრულდება. სარეკონსტრუქციო სამუშაოებს კი საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საუკეთესო სპეციალისტები უხელმძღვანელებენ.

გაივლის ცოტა ხანიც და განახლებული მეგობრობის გზით ვიმოგზაურებთ რუსეთისაკენ.

რ. რატიანი

მზია ხეტაგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვალი

ტრიალით დაუვლის ქარი დედულეთს,
დაუფარავს ტაძრის ტირილით—
ამ მგზებს —
შენს მარგელ შეყვარებულებს
შენი სიცილი მოენატრებათ.
ქარი, ალვებთან ჩამწკრივებული
გამოთვალებს და გაზელდება.
ატირებს აა — შენი დობილი
და შენი ცრემლიც გაიზრდება.
ამოვა მზე და ათას მარგალიტს
ბედულაშების კლდეზე მიაფენს.
ცის განაპირა კარი მიღაღა.
გადაახელდა ლაჟვარდში.
ამწვანდება მიღმა ღრუბელი
თეთრი რაშივით.
ფიფქის ამშენ.
სად მივყავს მაშ ცხენი ფეხით.
შენ ვინ გიყვარს, ე. მის ქილიმეულს?
ნუთუ ამ ბილიკს რას ეტანება,
გაქრება
ლანდ ცისფერი ბარი.
აქ ბილიკი მიდის სახლეკაცება.
აქ კოშკი — ჩემი დედულეთი!
ნუ მელოდები, მთაო, გაზაფხულ.
მხედარი ბეჭედს ისევ მიიტანს.
ცეცხლ დაანთებს გზაზე ყვავილში.
შენი ლანდი მოიკრიბება.
ლეკური ხმა აქვს.
უჩვეო გავვლ
სიოს, სიკვდილ თუ სიყვარული.
თოთოლეთ გოგორები მთაც ოქოლებში
ოქროს ზეზე მკერ მთის ფარული.
ლეგენდარული.
ბედულაშელი.
ლეგენდის კლდეო, ჩემო დედულო.
ჩემი ლეგენდის მზის მარადისი.
საარქივო მიმოდითელო!...

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ამაგდარი

გოგონამ დვირის შვიდკლასიანი სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობის წევრი გახდა. უჭირდა ოჯახს და იმიტომ. კოლმეურნეობასაც უჭირდა მაშინ. ეს იყო 1935 წელს.

კოლმეურნეობის გამგეობას დიდი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი — ახალი მიწები უნდა აეთვისებინათ, მაგრამ საამისოდ არც სამუშაო იარაღები ჰქონდათ და არც მუშახელი ჰყოფნიდათ. გამგეობის კრებაზე ეს საკითხი მწვავედ დაისვა.

სიჩუმე ელისოს ხმამ დაარღვია:

— ჩვენ მოგვანდეთ ეგ საქმე, კომკავშირელებს!

და შეიქმნა კომკავშირული რგოლი, რომლის მერგოლურად ელისო ლომსაძე აირჩიეს.

— გოგო, შეიძლება კი? — მოესმა დაფიქრებულ ქალიშვილს ზურგიდან. შემკრთალმა მოიხედა. წყლიანი თვალები შეანათა ვაჟკაცს. ის იყო... ის...

სოფლის სახელოვანი ბრიგადირი, მშრომელი და გამრჯე ვაჟკაცი პავლე ხუციშვილი თოხზე დაყრდნობილი სიყვარულით მისჩერებოდა ელისოს.

— რატომ ვერა? — იუკადრისა გოგონამ და ფეხს აუჩქარა.

— ფრთხილად, გოგო, წინ იყურე და ისე იარე! — დაადევნა პავლემ.

დიდ და პასუხსაგებ საქმეს შეეჭიდა რგოლი. დღე და ღამეს ასწორებდნენ ახალგაზრდები.

— იქვე ვიძინებდით, რომ შინ წასვლაში დრო არ გასულიყო. დილით ადრე ვდგებოდით. წავიხემსებდით და ისევ საქმეს შევუდგებოდით. ჩემს გვერდით ბეჯითად შრომობდნენ მარო ლომსაძე, ვარა ბიბილური, ვერა ხუციშვილი და სხვები. — იგონებს ელისო.

რგოლმა ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა. გამრჯე ახალგაზრდებს კოლმეურნეობის კრებაზე მადლობა გამოეცხადათ.

ფრთაშესხმული მოაბიჯებდნენ ახალგაზრდები შინისაკენ.

— ძალიან გიხარია? — მოესმა და... ადგილზევე გაიყინა, თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარა. ის იყო... ის... მისი ამაფორიაქებელი.

— ძალიან, პავლე, მაგრამ მე უფრო მეტი უნდა გავაკეთო. — უპასუხა ქალიშვილმა.

— მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო, ხომ გაგიგონია. ჰოდა, რას იტყვი, ერთად უფრო ძლიერები არ ვიქნებით? — ალერსით და ხმის კანკალით შეეკითხა პავლე.

ელისო გაწითლდა და თავი ჩაღუნა...

ასე გახდა იგი 1939 წლის გაზაფხულიდან ხუციშვილების რძალი.

უფრო მეტი შემართებით შრომობდა ელისო. ამავე წლის ივლისის ბოლოხთვის რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხოლო 19 აგვისტოს, როგორც ღირსეულთა შორის ღირსეული, მოსკოვში გააგზავნეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

დადგა 1941 წლის 22 ივნისი.

„პავლე მეორე დღესვე წავიდა ომში. გავაცილე. ხელში ბავშვი მეჭირა და დაღონებული მივდევდი თან. ცდილობდა მხიარული ყოფილიყო და მეც მამხნევებდა, მაგრამ ორივე ვგრძნობდით, რომ ეს ყველაფერი ნაძალადევი იყო. ხელი მომკიდა და მხოლოდ ეს მითხრა: „გჯეროდეს ჩემო კარგო, რომ დაგიბრუნდები“.

ამ დღიდან ოჯახის დიასახლისი ვაჟკაცურად შეება ცხოვრებას. პავლეს წერილები ერთხანს მოდიოდა, შემდეგ კი... შეწყდა. — სადღაც დაიკარგა პავლე. — ამოიოხრებს ელისო და გულის კვნესასაც ამოატანს ხოლმე.

მძიმე დღეები დაიწყო ელისოსათვის. შრომა და დარდი ერთმანეთს ჩაეხლართა. კოლმეურნეობაში მუშაობა ერთ დღესაც არ შეუწყვეტია.

— რამდენჯერ ბელა ზურგზე მკიდებია და ისე მითოხნია, — იხსენებს ამაგდარი. — „დამთავრდა ომი. მე მაინც ველოდი. ყოველ დღე ველოდი. საღამოს იმ იმედით ვწვებოდი, რომ დილით მოვიდოდა. დილით კი იმ იმედით ვდგებოდი, რომ საღამოს უსათუოდ დამიბრუნდებოდა. ბელაც მამას კითხულობდა. ვისაც ფარაჯიანს დაინახავდა, ყველას მამას ეძახდა. მისი მამა კი არა და, არ ჩანდა...“

1947 წელს ელისო პარტიის რიგებში მიიღეს. მუხლჩაუხრელ შრომაში სწრაფად გარბოდა წლები. თავისი პატარა სიყვარულის ნაყოფი გამოზარდა. ასწავლა და ადამიანი შეაყვარა. ბელამ დვირის საშუალო სკოლის შემდეგ სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა და 1960 წლიდან ადამიანების ჯანმრთელობას ემსახურება, კერაზე ნაკვერჩხალი გაალვივა და ააგიზგიზა ხუთი შვი-

ლის დედამ. ხშირად დაინახავთ სამსახური-დან მოსულ ბელას, თოხი რომ აუღია და მიიჩქარის დედის მოსახმარებლად.

1970 წლიდან ბორჯომის რაიონის დვი-რის კოლმეურნეობა ერთ-ერთ მსხვილ საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა. ელისოც პირველი მიიღეს მუშად.

ელისოს მუშაობის ციფრობრივი მონაცე-მები მაინტერესებდა და მეურნეობის კან-ტორისაკენ გავეშურე. ჩემი მისვლის მიზე-ზი რომ გაიგეს, ბრიგადირმა და უბნის უფროსმა ერთმანეთს აღარ დააცალეს ლა-პარაკი:

— ეგ ცალუღელა ხარი ბევრ უღელ ხარს უკან ჩამოიტოვებს. — ამბობს ბრი-გადირი ვ. ლომსაძე, — შრომაში ტოლი არა ჰყავს. მაკვირვებს მისი ენერგია და შე-მართება. ციფრები გაინტერესებთ? — ინებეთ.

შარშან ელისოს საკუთრივ გაპიროვნე-ბული ჰქონდა 0,4 ჰექტარი პამიდვრის და 0,50 ჰექტარი კომბოსტოს ნაკვეთები. გეგ-მით 6 ტონა პამიდორი და 10 ტონა კომ-ბოსტო უნდა ჩაებარებინა. აბა, შეხედეთ შესრულებულს! — მეუბნება ბრიგადირი და დავთარში მახედებს, — 8 ტონა და 13 ტონა! მართლაც დიდი მიღწევაა! მას მე-ურნეობაში მუშაობის პერიოდში მხოლოდ რამდენიმე კაცდღე აქვს გაცდენილი საპა-ტიო მიზეზით.

— ყოველ წელს ასეა? — ვეკითხები ბრიგადირს.

— ყოველ წელს, — საუბარში ერევა უბნის უფროსი ვ. პაპიძე, — ამიტომაც ასე უყვართ და აფასებენ ელისოს. სჯერათ მისი ჩვენს მუშებს. იგი მათ გვერდით შრო-მობს და მის სიტყვასაც უფრო ენდობიან. აი, ერთ ასეთ მაგალითს გეტყვით: თქვენ ალბათ იცით რომ რწყვა როდესაც დაიწყე-ბა, ცხარე დღეები ადგათ მუშებს, სამუშაო დატოტვილია. არის შემთხვევები, ერთგან მცირე რაოდენობის მიწა რომ რჩება მო-სარწყავი. თუ მეორე დღეს კვლავ იქ გა-ვაგრძელებთ მუშაობას, ვცდებით, დიდ დროს ვანდომებთ შემდეგ სხვა უბანზე გა-დასვლას. აი სწორედ აქ იჩენს თავს ელი-სოს ნიჭი:

— მე და ორი სხვა ქალი ხვალ ისევ აქ დავბრუნდებით, ხოლო დანარჩენები ახალ უბანში წახვალთ. ჩვენც მალე ჩამოგეშველე-ბით! — მტკიცედ იტყვის ელისო და საქ-მეც დამთავრებულად მაქვს ჩათვლილი.

ქართველებს ერთი ასეთი სიტყვა გვაქვს: „გაფუფუნებული“. ეს სიტყვა ელისო ბე-ბიაზეც ითქმის. ხუთი შვილიშვილით გარ-შემორტყმულს ერთ გვერდს ქალიშვილი უმშვენებს, ხოლო მეორეს სიძე — გიორ-გი ნადირაძე, მაგრამ საძირკველი, ოჯახის თავკაცი მაინც აკლიათ...

„მე დღესაც ველი, ყოველ დღე ველი, რომ დაღამდება, დილით ველი, რომ გა-თენდება, ასე მგონია საღამოს აუცილებ-ლად მოვა“... მესმის ელისოს ჩურჩული...

**მზია ხუციშვილი-აბულაძე**

## ხუტა ბერულავა

### ისევ საქართველოს

1.

ო, ელვარება ამ დღეების, დიდი დღეების,
ხალხის გულიდან არასოდეს რომ არ ამოვა!
მოიგონებენ შენი შორი მემკვიდრეებიც
ჩვენს უჩვეულო ზეიმსა და სტუმრიანობას.

პლანეტის თვალწინ ეს ოთხი დღე მზესავით ენთე,
აღსავსე თრთოლვით, სიამაყით, ღელვით,
მადლობით.
კეთილ მეგობრებს უმასპინძლე, ვითარცა ღმერთებს,
და განაცვიფრე ყველა შენი გულითადობით.

დიდმა სტუმარმა მოგილოცა სამოცი წელი
და ისევ ცამდე აგიყვანეს შენმა შვილებმა.
კურთხეულ იყოს სიხარულის ცრემლები მწველი
და ფიქრთა ჩვენთა სამუდამო შეკავშირება!

2.

არა და არა, არ გშორდება ის ყრუანტელი,
ის ალტაცება — სამაისო სხივთა მთოველი
და სიამაყე, რასაც გრძნობდა ყველა ქართველი,
ვით ყველა მოძმე, ჩვენი მიწის მკვიდრი ყოველი.

ისევ გუგუნებს სიჭაბუკის თამამი ფიცი,
ციმციმს —
ხუთი ათასი ნორჩი გულის ძგერას ერთიანს,
ისევ გუგუნებს სიჭაბუკის თამამი ფიცი.
ძველი გვარდიის ერთგულების ხმას რომ შერთვია.

ვისაც უნარი სიხარულის არ დაშრეტია
და შენი დიდი გამარჯვების არის მსახური,
ვისაც ძარღვებში მეოცნების სისხლის წვეთი
აქვს, —
მრავალ სიმღერას შთააგონებს ეს გაზაფხული!

...რამდენი ძალუძს ხალხს, რომელსაც ერთი სული
აქვს, —
მზეს ღრუბლებიდან გამოიყვანს, როცა ინატრებს!
მამულო, შვილთა ჯადოსნური სიყვარულია,
ულამაზესი მომავლისკენ გზას რომ გინათებს.

### კახეთის გზაზე

ასე ლამაზი, ღვთაებრივი და ონავარი,
გიზგიზებ, როგორც მზე გომბორზე ამომავალი.

ყაყაჩოებით სავსე მინდორს არა შორდები
და შენს გარშემო თარეშობენ ქარაშოტები;

ქარაშოტები ამ ცეცხლივით მკვეთრი ფერების...
ბრწყინავ მინდორზე, ვით ხატება მშვენიერების.

მზეო და ქალო, ყვავილებთან თამაშს მოეშვი,
მე ვიდრე წავალ, ჩაიმალე ყაყაჩოებში.

ქალო და მზეო, შეისმინე მგზავრის მუდარა,
თორემ, უწყოდე, ვაჟკაცს ბევრი არა უნდა რა!

ერთი ღიმილი უცოდველი და უნებური,
და შენს წინაშე დაეცემა გაბრუებული.

ერთი ღიმილი... მხოლოდ ერთი ღიმილი წმინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბეგაშვილი,

ჟურნალ „საქართველოს ქალის“
1980-81 წლების კონკურსში გამარჯვებული

# წვიმა

(ფიქრები დედაზე)

ქარი ჩადგა და ცხელ მიწას კანტიკუნტად დაეცა წვიმის პირველი მსხვილი წვეთები, თითქოს ზეცას წინადაწინ მახარობელი გამოეგზავნოს ხახაგამშრალი, მოწყურებული მიწისათვის.

ჟანღი, რომელიც მთებს ლეჩაქივით შემოხვეოდა და ისე ნელა მოიწევდა წინ, თითქოს ვინმეს ჩასაფრებია და ფეხაკრეფით ეპარებაო, ერთბაშად გამუქდა, გასქელდა, მთელ ალაზნის ველს შავი ზეწარივით გადაეფინა და ჰორიზონტი ოთხივ კუთხივ კუპრივით ჩამოაშავა. თვალის დახამხამება ვერც კი მოვასწარი, რომ ნისლის ზეწარი ელვამ ჩამოფხრიწა, მერე ერთი დაიჭექა, დაიქუხა, კარ-ფანჯარას ზრიალი დააწყებინა და შხუილითა თუ შიშინით, რისხვითა თუ მუქარით ცა ღვარადა და ღვართქაფად ჩამოიქცა...

საამოდ გრილოდა.

არ მეძინებოდა, გვიანობამდე აივანზე ვიჯექი და წვიმის მუსიკას ვუსმენდი. ნელი, სულ ნელი ნიავი შუბლზე ნეტარებით მელამუნებოდა...

წვიმდა და ვფიქრობდი...

გონებაში მომავალი ცხოვრების ათასფერად ძაფებს ვხლართავდი და ოცნებით ვტკბებოდი.

მაგრამ უცაბედად ამ წვიმამ სხვა წვიმები გამახსენა და ფიქრები წარსულში გადამიტყორცნა...

გახსოვთ, ზოგიერთნი, ანი ბანისაგან რომ ვერ გაერჩიათ, რა მედიდურად გადმოვიდოდნენ ხოლმე სრიალა ავტომანქანიდან და რა თავმომწონედ აუყვებოდნენ მარმარილოს კრიალა საფეხურებს?

მე მაშინ ორთაჭალაში ზუსტად ოთხმეტრიანი ოთახი მქონდა ნაქირავები. სახლის პატრონს ჩრდილოეთით ნახევარი მეტრის სიმაღლეზე და მეოთხედი მეტრის სიგანეზე კედელი საგანგებოდ გამოენგრია და მინა შიგ უჩარჩოოდ ჩაეტანებინა. ეს იყო ჩემი ფანჯარა, ჩემი დღის სინათლე, ჰაერისა კი რა მოგახსენოთ! საწოლის ქვეშ ერთი ძველი, ადამისჟამისდროინდელი ჩემოდანი მედო, შიგ რამდენიმე წიგნი და ჩემი ლექსები მეწყო. როცა გული წერას მომთხოვდა, გამოვიღებდი, მუხლებზე დავიდებდი ხოლმე და ისე ვწერდი.

ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთ დღეს ავად გავხდი. კეთილმა დიასახლისმა სიცხიან, ლოგინში მბორგავ, უპატრონო ავადმყოფს არ დამამადლა და სოფელში დეპეშა გამიგზავნა.

მაშინაც წვიმდა.

თვალი სულ კარისკენ მქონდა და როგორც კი რამე გაიფაჩუნებდა, გული სიამით შემიჩქროლდებოდა ხოლმე, იქნებ ვინმემ შემოაღოს და ან საჭმელი დავაბარო ან წამალი-მეთქი.

აი, გაიღო კიდეც...

გაიღო და.. დედაჩემი შემოვიდა. მთლად სველი იყო, მთლად გაწუწული. მოსახვევის ყურებიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. გაზაფხული იდგა, შხაპუნა წვიმა მოდიოდა, მზისშუქგარეული. ასეთმა წვიმამ მალე იცის გადაღება და ცოტა ხანს სადმე თავი რომ შეეფარებინა, არაფერი დაუშავდებოდა, მაგრამ ის ხომ დედა იყო და დედები კი არც წვიმას დაგიდევენ, არც დელგმასა და არც ქარიშხალს... წვიმა კი არა, ტყვიაც ვერ შეაჩერებს, როცა გამწარებული დედა შვილისაკენ მიისწრაფის...

უსიტყვოდ მოვიდა საწოლთან. შუბლზე ხელი დამადო — ცივი, წვიმისაგან სველი ხელი...

თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ მის დარდისაგან დანაოჭებულ სახეზე იმ წუთსავე ის ამოვიკითხე, რომ დიდი სიცხე უნდა მქონოდა.

რამდენიმე დღის განმავლობაში, სანამ ფეხზე არ წამომაყენა, ყოველ ღამე დიდი დავიდარაბა და ხვეწნა-მუდარა მჭირდებოდა, რომ ერთი წუთით თვალი მოეხუჭა.

ეჰ, დედა, დედა...

ახლა წვიმს და ამ წვიმამ ჩემ სიცხიან შუბლზე დადებული მისი სველი ხელი მომაგონა...

...რა ჭკვიანი დედა მყავდა, რა მომთმენი, რა დარბაისელი და მოკრძალებული, რა გამოზომილი და დროული სიტყვა-პასუხი ჰქონდა, რა ჭირთა თმენა და ლხინთა დაოკება შეეძლო! წერა-კითხვის მცირე მცოდნე გლეხის ქალი იყო, დიდბუნებოვანი. ნაზი აგებულებისა გახლდათ და საკაცო საქმეში სხვა ქალებს მხარში ვერ ამოუდგებოდა, დიასახლისობას, კოპწიაობასა და სისუფთავეს კი ვერავინ დაუწუნებდა, დაუწუნებდა კი არა, ბევრი შენატროდა კიდეც.

ომი იყო თუ მშვიდობა, ბევრი წელიწადი გაჭირვებულმა, მშიერმა და გაუხარელმა გაატარა, მაგრამ ხალხს ისე ეგონა, რომ მასზე მაძღარი და ბედნიერი არავინ იყო. ერთს არ დაიჩივლებდა. მე რომ შვილი ვარ და მის წინაშე მოვალე ვიყავი, რაც უნდა შავი დღე სდგომოდა, თავისი გაჭირვება ჩემთანაც არ წამოსცდებოდა.

მახსოვს, ცხოვრების არავითარი სახსარი არ გაგვაჩნდა. ბარგი შეკრული მქონდა, თბილისში მოვემგზავრებოდი, მინდოდა სამსახურის ბედი მესინჯა. წამოსვლის წინ დედაჩემმა ყველი და პური მაგიდაზე დამიწყო, თვითონ კი თავისი ქალობისდროინდელ, თალიკობებიასეულ „ზინგერს“ მიუჯდა და რაღაცის კერვა დაიწყო. ვიცოდი, რომ ეშიებოდა და ვუთხარი, რატომ არ მოხვალ, რაღას უყურებ მეთქი. მოვიდა, პურს პატარა ყუა წაატეხა და ჭამა დაიწყო. ყველისთვის ხელი არ უხლია. რას შვრები, დედი, თავს რას იკლავ, ცარიელი პური რას გიზამს-მეთქი. არ მინდა, შვილო, შენა ჭამეო. მეც მეყოფა და შენც, კარადა რომ გამოა-



ფოტოეტიუდი „დედა"

ლე, ხომ დავინახე, რომ იქ ყველის ნაჭერი კიდევ არის-მეთქი. მე უიმისობით არაფერი მომივა, იქნებ უცაბედად კარს სტუმარი მოგვადგეს და, ისიც კარგია, რომ მაგ ყველით ერთხელ მაინც გამოვჩნდებიო. მივხვდი, რომ „გამოჩენას" სტუმრის წინაშე შეურცხვენლობას ეძახდა. მე ეს სიტყვა მეუცნაურა კიდეც და მომეწონა კიდეც, დიდი ხნის განმავლობაში არ დამვიწყებია და ვხუმრობდი ხოლმე: ელენე უნდა გამოჩნდეს მეთქი.

თავმოყვარე იყო, კიდეც რომ ჰქონოდა რამე გასაყიდი, ბაზრისკენ ვერც გაახედებდი; ვინმე ავყია მეზობლის ულირს სიტყვასაც მოთმინებით აიტანდა და არასგზით არ აჰყვებოდა, საჩხუბარ ანკესზე ვერავინ წამოაგებდა: უბანში ზოგს მისი ხმაც კი არ გაეგონა.

სულ მარიგებდა: ვინც გაგიცინებს, ყველა სანდო და შენი ერთგული ნუ გგონია და ყველას ნუ გაეგულისპასუხები, გულს ნუ გადაუშლიო, რასაც ფიქრობ, ყველას პირში ნუ მიახლი, ცოტა შენც გამოიჩინე ეშმაკობა, ცოტა შენც გამოფხიზლდიო. მაგრამ.,. შეაყარე კედელს ცერცვი, ჩემს თავში არაფერი შედიოდა! ვერ იქნა და ვერ გამოვიცვალე.

ჰო, ზემოთ იმას ვამბობდი, ამ წვიმამ სხვა წვიმები გამახსენა მეთქი.

ერთხელ, გვიანი შემოდგომის ერთ მოწყენილ დღეს, სოფელში თბილისიდან ახლად ჩასული, ჩვეულებისამებრ, აივანზე ვიჯექი და ნისლიან სივრცეს გავცქეროდი. მაშინაც წვიმდა, კოკისპირულად წვიმდა. მე კი არც წვიმის ხმაური მესმოდა და ვერც ალმაცერ წვეთებს ვამჩნევდი, შუბლშეჭმუხნულს მხოლოდ მწარე ფიქრებისათვის მიმეცა თავი: „კიბე ჩამპალია. გვერდებიდან წვიმა უშხაპუნებს. საფეხურების ჩამტვრევას აღარაფერი უკლია. ბოძებიც მოლპობია და მორყევია, არც აივანზე იატაკის წინა ფიცრებს აყრია ხეირიანი დღე. გამოცვლის მეტი არაფერი უშველის. რით გამოვუცვალო: სად არის მასალა? ვთქვათ, ხელფასი და ათასში ერთხელ ნაშოვნი ჰონორარის გროშები შევაერთე და მასალას ვამყოფინე, ბინის ქირა რითღა გადავიხადო?"

მართლაცდა, რა უნდა მექნა? არც დანა მეჭირა ხელში და არც დუმა მედო წინ, რომ მომეთალა. კიდევაც რომ მდებოდა, თუ ის ჩემი კუთვნილი არ იქნებოდა, მამაძაღლობასა და ქურდულად მოთლას ხომ არც ვიკადრებდი! მთელ განძადა და სიმდიდრედ, ცხოვრების სახსრადა და წყაროდ მარტო მცირე ხელფასი და კალამიღა მებადა. კალამსაც აბა რა ღონე შესწევდა, როცა მის პატრონს არც პირფერობა მქონდა ზნედ, არც ვინმესთვის გამოსადეგი ადგილი მეჭირა და არც მოსარიდებელი და მყრალი ვიყავი, რომ ანგარიში გაეწიათ. მაშინ ასეთი დრო გახლდათ, ამნაირ რამეებს ჰქონდა გასავალი. ხალხს რწმენა ეკარგებოდა, ვინ იყო ცხოვრების მანკიერი მოვლენების ამომფხვრელი!

წელში საცოდავად მოხრილ დედაჩემს რომ შევხედე, რომელსაც გატეხილი კრამიტებიდან ღვარივით ჩამომსკდარი წყლისთვის რამდენიმე ადგილას ტაშტები შეედგა, ისე მომეჩვენა, თითქოს ტაშტში ჩამოსული წვეთები საფანტის მარცვლები იყო, რომლებიც წკაპა-წკუპით გულს მიცხრილავდა.

კრამიტებს გასწორება ნდომებია. ასე ყოფილა მთელი წელიწადი...

ყველა ამქვეყნიური სიამისაკენ ლტოლვის ინსტინქტი, თვით სიცოცხლის წყურვილიც კი ბუნებას არსთა შორის ყველაზე მეტად დედის გულში დაუთრგუნავს, თავგანწირვისა და თავდანაცვლების გრძნობაც ყველაზე ჭარბად ამ გულში ჩაუნერგავს; თუ ვინმე გაუჩენია, მას, უპირველესად, დედა გაუჩენია ისეთ არსებად, რომელიც კლდის ნატეხად იქცევა, არაფერს უდრკება, არაფერს ეპუება, რადგან მისი სულის სიმტკიცე ერთი ნეტარი ოცნებით საზრდოობს. ეს ერთი ოცნება შვილის სიცოცხლე და კეთილდღეობაა. და დედაჩემიც თურმე არც დამტვრეულ კრამიტებს წუხდა და არც ჩამოყვითლებულ კედლებს, ის თურმე მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა, რა ქნას, ცოდოა, სახსარი არაფერი გააჩნია, რა უნდა მივწერო, იმის შეწუხებას ისევ ჩემი გაძლება მირჩევნიაო.

აი, სუსტი და ჰაეროვანი ტაშტთან პეპელასავით მიფარფატდა, რომ წყალი გადაეღვარა. ლოგინს რომ აგებდა ხოლმე, ნაალის აწევაც კი უჭირდა და აბა წყლით სავსე ტაშტის გადაღვრას რას დავანებებდი. მაშინვე მივვარდი და გამოვართვი.

ამოიოხრა.

ბევრი რამ იყო მოქცეული ამ ამოოხვრაში.

გარეთ რომ გამოვიდა, სიცივე იგრძნო და ამ შეგრძნებამ მხოლოდ ერთი ფიქრი აღუძრა:

— უი, მომიკვდეს თავი, შემოდი, შემოდი ჩქარა, ავად არ გახდე, ეს რა სიცივე ყოფილა, შვილო!

მაგრამ სიცივეს რას დავეძებდი, წინგადაშლილი სივრცე, სუფთა ჰაერი და გრძელ აივანზე ბოლთისცემა ფიქრსა და ოცნებას მეტ გასაქანს აძლევდა, ოცნება კი დარდს მიქარვებდა და შვებას მგვრიდა, ამიტომ, მუდამ მცივანა და გამოუწრთობელ-გამოუკაჟებელი, ახლა სიცივესაც აღარაფრად ვაგდებდი და მგონი არც გამიგონია რამე. დედამ ეს იგრძნო, პალტო გამოიტანა და მომახურა.

იმ ღამეს ფიქრში დედაჩემის ნაღვლიანი სახე ჩამყვა და როდის-როდის ძლივს ჩამეძინა.

დილით გვიან გამეღვიძა. ავდექი და რას ვხედავ: ეზო მთლად შემოევლო, ჯერ დაეგავ-დაესუფთავებინა, მერე, თუკი რამე მოიძებნებოდა, ხმელი ტოტებიცა და წვრილი ჩხრიმალიც, უკვე მოეგროვებინა და საჩეხში რამდენიმე მსხვილ შეშას გარშემო დაღონებული უტრიალებდა:

— ადექი, შვილო? თან იმას ვფიქრობდი, თუ ვერ დავჩეხავ, იქნებ ცოტა მაინც ჩავაჩეკო რამე, ჩავანაფოტო მეთქი, თან კაკუნის ხმაზე შენს გაღვიძებას ვერიდებოდი..

გავუჯავრდი, ამ ვეება კუნძების დაჩეხვა რა შენი საქმეა მეთქი და მაშინვე ცული ხელიდან წავგლიჯე.

მერე არ იკითხავთ, ეს ულონო, სუსტი, პეპელასავით მოფარფატე ადამიანი ახლა ამ დევივით კუნძებს რისთვის უტრიალებდა?

ისევ ჩემი გულისთვის! — ორიოდე მტევანი ჩავჭყლიტე და ისიც ნახევარი ტკბილად ამოვიღეო, ენკენისთვეში ვერც შეშა გამოვნახე სადმე, ვერც რიგიანი ფქვილი ვიშოვნე, მერე, როგორც იქნა, მოვაბადაგე, ბადაგი აქამდე შევინახე და იქნებ თათარა დღეს მაინც როგორმე გავაკეთოთო.

ხელს ვერ ვახმარდი, ფულსაც, მაინცდამაინც, ბევრს ვერაფერს ვუგზავნიდი და ხომ შეეძლო პატარა ვენახის მცირე მოსავლით ორიოდე გროში ეშოვნა და სული მოეთქვა... ის კი, ამას კი არ ფიქრობდა, ყოველწლიურად ლუკმას იკლებდა, დარდსა და ვარამს გულში იკლავდა და იმაზეღა ოცნებობდა, ჩურჩხელები შვილის მოსანონებელი გამოსვლოდა..

ძლივს ვაივაგლახით ნაშოვნ ფქვილზე გული ეთანადრებოდა, თვალში არ მოსდიოდა: „რა ვიცი როგორი გამოდგება, ვაი თუ ადუღების დროს თათარა გათხელდეს, დაბლა ნურნური ჩამოვიდეს და ჩურჩხელა ისეთი ვერ გამოვიდეს, რომ შენს ქალაქელ მეგობრებს მოეწონოთო".

ზოგი იტყვის, ჩურჩხელის გაკეთებას რა ჭრელი კოვზები უნდა, აბნევ, ამოავლებ, მორჩა და გათავდაო! ვინმე ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ქალისთვის, ვისაც ჯომარდი შვილები, სიძეები, რძლები და ქალიშვილები გარს ახვევიან და მხარში უდგენან, იქნებ თათარაობა გართობისა და ზეიმის მეტი მართლაც არაფერი იყოს, მაგრამ დედაჩემი ხომ ჯანგატეხილი, თითქმის მარტო მყოფი მოხუცი გახლდათ და აბა წარმოიდგინეთ უჩემოდ რამდენი ხათაბალა უნდა გადაეტანა...

თათარა მართლაც იმ დღითვე მოვადუღეთ. მთელი დღე დედაჩემს პირში ლუკმა არ ჩაუდვია. რომ ვეუბნებოდი, შიმშილით თავს რას იკლავ, პურს ყუა მაინც წაატეხე-მეთქი, რა მეპურება, ჭამა ვის აგონდებაო. საღამოს, როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდა, როცა ათ ჯოხზე კოხტად გამწკრივებულ, ჩამოქნილსანთლებისდარ ორას ჩურჩხელას გახედა და თავისი ნახელავი მოეწონა, დამშვიდდა, შვებით ამოისუნთქა და მაშინღა თუ შეახსენა თავი საჭმელმა.

ეჰ, დედა, დედა!...

ახლა წვიმს და ამ წვიმამ ჩემ სიცხიან შუბლზე დადებული მისი სველი ხელი მომაგონა..

ხომ ვთქვი, ამ წვიმამ სხვა წვიმებიც გამახსენა მეთქი:

გაზაფხულს ძალუმად გაეშალა ფრთა.. მაისი იყო — ვარდობის თვე... ეზოები ნაირფერ ვარდებს დაემშვენებინა, ყანებს ყაყაჩოები ცეცხლად წაჰკიდებოდა, ვენახებს ხალხი ხალისითა და ჟრიამულით შესეოდა..

სიცოცხლე ზეიმობდა.

დიდ-პატარა ველ-მინდვრად იყო გამოფენილი, ვის არ ალხენდა და ახარებდა ბუნების მეჯლისი.

დედაჩემს კი... თავის სიცოცხლეში ყოველდღე მზეს რომ ასწრებდა ადგომას, იმ ერთ დღეს მზემ დაასწრო ამოსვლა.

ეძინა...

შუა ოთახში ეძინა...

ეძინა სამუდამოდ, გაუღვიძებლად...

ქართული კაბა ეცვა და ჩიხტა-კოპით, ლეჩაქით თავდახურულს ეძინა.

ჭირი იყო თუ რაიმე ბედნიერი დღე, არ მახსოვს თავდაუხურავად, — უჩიხტაკოპოდ და ულეჩაქოდ, — სადმე წასულიყო, ქართული კაბა კი (თავისი სარტყლით) კარადაში ჰქონდა შენახული: როცა მოვკვდები, მაშინ ჩამაცვითო.

დილაადრიანად დიდი წვიმა დაიწყო. მეშინოდა, ვაი თუ მთელი დღე იწვიმოს და ან ხალხი როგორ ჩამოვა, ან როგორ გამოვასვენებთ-მეთქი. პირველ საათამდე ცას წარბი არ გაუხსნია. მერე კი გადაიღო და ისეთი ამინდი დადგა, მაისის მშვენიერ დღეს რომ შეეფერება. მოდი და ნურაფერს იწამებ: როგორი გულიც ჰქონდა, ისეთი მზიანი ამინდი გამოუვიდა.

მზიანი დღე კი გამოუვიდა, მაგრამ... ვაგლახ, მამულში პატრონების მზის შემონათებას ვერ გაუცინა, ნამუსიანი შვილების დედებს თვალში სიხარულის ცრემლი რომ მოერიათ, იმ დღეს ვერ მოესწრო, დარდით დამძიმებული უხალისო გული საქართველოს ნამდვილი გამზეებით ვერ გაიხალისა...



# მწვანე მუზეუმი

კომკავშირის ხეივანზე რომ აბრძანდებით და სამხრეთით გადაიხედავთ, წინ დიდებული პანორამა გადაგეშლებათ: ეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი გახლავთ. ამ ადგილს ლეღვთა ხევსაც უწოდებენ, რადგან წინათ აქ თურმე უამრავი ლეღვი ხარობდა.

ნაკადული ბაღს ორად ყოფს. ლეღვთა ხევს ჩრდილოეთიდან ცივი ქარებისაგან სოლოლაკის მთა იფარავს.

საინტერესოა ამ ბაღის ისტორია. გვესაუბრება ბაღის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამია გოგოლიშვილი:

— პირველ წერილობით ცნობებს ფრანგი მოგზაური შარდენის ნაწერებში ვხვდებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი 1671 წელს ბაღს ზრდადასრულებულად იხსენიებს, რასაც სხვა ავტორებიც ადასტურებენ, — ასეთი ბაღის გაშენებას კი 50 წელი მაინც დასჭირდებოდა, — ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დღევანდელ ბოტანიკურ ბაღს სამსაუკუნენახევრის ისტორია აქვს.

1883 წელს ბაღის ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა საქართველოს ფლორის მცოდნე, გამოჩენილი ბოტანიკოს-დენდროლოგი ი. მედვედევი. შემდეგ ბაღში სამუშაოდ მოიწვიეს სხვა თვალსაჩინო მეცნიერებიც.

ბაღის ნამდვილი განვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო; მას გადაეცა მომიჯნავე ვრცელი ტერიტორია ახალი გეოგრაფიული ნაკვეთების შესაქმნელად. გაჩაღდა ინტენსიური სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა, გაიზარდა მეცნიერთა ადგილობრივი ეროვნული კადრები.

128 ჰექტარზე გაშლილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი, რომელიც მუშაობს მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემაზე — მცენარეთა ინტროდუქციის და აკლიმატიზაციის, უცხოეთიდან მცენარეთა შემოტანასა და მათს ადგილობრივ პირობებში გამოზრდაზე. ყურადღება გამახვილებულია სამეცნიერო თემების მაღალ დონეზე შესასრულებლად და მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვად.

ბოტანიკური ბაღის ამ კეთილშობილურ საქმიანობას ხუთი სამეცნიერო განყოფილება ემსახურება. აქ განიხილავენ მცენარეთა გაშენება-მოვლის აგროტექნიკურ, პარკმშენებლობისა, ლანდშაფტური მებაღეობის თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებს. ეხმარებიან საქართველოს სხვა ბოტანიკურ ბაღებს, კოორდინაციას უკეთებენ მათ მუშაობას. სწავლობენ დეკორატიულ მცენარეთა მავნე ენტომოფაუნას და ადგენენ მის მიმართ აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ბრძოლის ღონისძიებებს. სისტემატურად ფართოვდება გეოგრაფიული ნაკვეთები, მდიდრდება ცოცხალ მცენარეთა კოლექცია.

ახლა ბოტანიკურ ბაღში სამი ათასამდე სახეობისა და სახესხვაობის ხე და ბუჩქი იზრდება, აღნიშნულის გარდა ათასამდე ჯიშის ვარდია. ორანჟერეაში ცხრაასამდე სა-





ხეობის ჯიშისა და ფორმის ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეა.

1899 წელს გაშენდა „კავკასიის ცოცხალი ფლორის განყოფილება". 1897–1901 წლებში „აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტყე", ფიჭვნარი „თურქესტანის განყოფილება" და სხვა. ამჟამად იგი ცოცხალ მცენარეთა ნამდვილი მუზეუმია. მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან შემოტანილი მცენარეები გაშენებულია გეოგრაფიულ ნაკვეთებზე. ბილიკებს თუ გაუყვებით, შეგიძლიათ „იმოგზაუროთ" „ნათელი ტყისაკენ", „ან „ფიჭვნარისაკენ" ხმელთაშუა ზღვისა და ჩრდილოეთ ამერიკის, აღმოსავლეთ აზიის, ჩინეთისა და იაპონიის, ჰიმალაისა და სხვათა ცალკეულ კორომებში. კორომებიდან მორცხვად იმზირება გაზაფხული.

ყურადღებას იქცევს თბილისისათვის ახალი, მაღალი, დეკორაციული მერქნიან-ფოთლოვანი მცენარეები წიწვოვანებიდან — ესპანური სოჭი, იაპონური ნაძვი, ლიბოცედრუსი (ანუ ჭაობის კვიპარისი), ცრუ ცუგა; ფოთლოვნებიდან გრძელყუნწა და ვერცხლის ფოთოლა-ცაცხვი, ქვამუხა, კორპის მუხა, ლიქვიდამბარი, პავლონია, მრავალი სახეობის ჩიტავაშლები და ა.შ.

უკანასკნელ წლებში შეიქმნა ფიზიოლოგიის ლაბორატორია და სამკურნალო მცენარეთა განყოფილება (გამგე ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნინო კახელაძე). აქ არის წარმოდგენილი, როგორც ჩვენი ფლორის ველური მცენარეულობა. აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანილი კულტურული ინტროდუცირებული მცენარეები. ხარობს იორდასალამი, რომელსაც ჩვენი ხალხი ჭრილობების შესახორცებლად, სიდამწვრის, კუჭნაწლავის დაავადების და, რაც მთავარია ნერვული დაავადების საწინააღმდეგოდ იყენებენ. ეს მცენარე დასავლეთ საქართველოში ტყის ყაყაჩოს სახელწოდებით არის ცნობილი. ეს ულამაზესი და უბადლო სამკურნალო მცენარე ახლა უკვე იშვიათია. საქართველოში ძალიან ბევრია სხვადასხვა ფერის ყაყაჩო; თვალს ვერ აშორებთ უამრავ, სხვადასხვა სახეობის მცენარეთა ნაყოფებისა და თესლთა ჰერბარიუმსა და კოლექციებს.

ცნობილია დაახლოებით 24 სახეობის ია, ზოგი ძლიერ, ზოგიც კი ნაკლებ სურნელოვანი. ისინი განსხვავდებიან ფოთლებით, ყვავილთა ფერითა და ზომით.

ჩვენი ხალხი ოდითგანვე სარგებლობდა იის ზეთით, რომელსაც იის ყვავილებიდან იღებდა. იის ფოთლებს იყენებდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდაც კი. იგი გამოყენებულია აგრეთვე პარფიუმერიაშიც.

კრწანისის ექსპერიმენტულ ბაზაზე სამკურნალო მცენარეთა განყოფილებისათვის ათასი კვადრატული მეტრი მოცულობის ორანჟერეა აშენდა. აქ ბოტანიკოსთა ჯგუფს განზრახული აქვს იმ ველურ სამკურნალო მცენარეთა გამრავლება-მოშენება, რომლებიც გადაშენების გზაზეა. ორანჟერეის გვერდზე გამოყოფილია ათი ჰექტარი მიწის ნაკვეთი სამკურნალო დანიშნულების მცენარეულობისათვის.

აქ თავი მოუყრიათ მხოფლიოს ლამაზმანებს — ათასამდე ჯიშის ვარდს.

დედაქალაქის ბოტანიკური ბაღი ყოველწლიურად მონაწილეობს ყვავილთა დღესასწაულში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რისთვისაც მუდამ ღირსეულად იმსახურებს პირველი ხარისხის დიპლომს.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, მელიტა ექვთიმიშვილის თავდადებული შრომით გამოყვანილია ნაირფერი, თვალწარმტაცი და სურნელოვანი ვარდების ჰიბრიდები; რომელთაც გამოჩენილი ქართველი ადამიანების სახელები „უწოდა“.

ქალბატონი მელიტა ახლა უკვე პენსიაზე გახლავთ, მაგრამ მან აქ დატოვა თავისი საქმის გამგრძელებელი, საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე სპეციალისტი ჟუჟუნა ავალიშვილი. ჟუჟუნა 16 წელია ჩაჰკირკიტებს ერთ ძირითად, ფრიად მნიშვნელოვან საკითხს: ცნობილია ე. წ. მინიატურული, ხვიარა წვრილყვავილიანი ვარდის ჯიში, მაგრამ იგი მხოლოდ ერთხელ ყვავილობს იქნებ მივაღწიოთ თუნდაც მეორედ აყვავებას?! მაშინ ხომ უფრო გაიზრდება დედაქალაქში ვარდის რაოდენობა? თბილისი ხომ ვარდების მხარეა!

ამ მიზნის მისაღწევად მუშაობა მიმდინარეობდა 5-6 წლის განმავლობაში და რამდენიმე ასეული ნათესარიდან მიღებული აქვს სამი ჰიბრიდული ნათესარი, რომელიც იმეორებს ყვავილობას. თავდადებული ენერგიული მუშაობით მან იმასაც მიაღწია, რომ ერთი ერთნათესარი (მუქი ვარდისფერი) რამდენჯერმე ყვავის, საკმაოდ დიდი ზომის ყვავილები აქვს და განსაკუთრებით პირველი ყვავილობა იმდენად უხვია, რომ თითქმის ფოთლები აღარ უჩანს. იგი განუმეორებლად ლამაზია.

მეორეა — მოყვითალო-ლიმონისფერი. ესეც წელიწადში რამდენჯერმე ყვავილობს და მეტად ლამაზია. მესამე მუქი წითელი ფერისა გახლავთ. ამასაც დიდი ზომის ყვავილები ამშვენებს, ყვავილობს ორჯერ, ლამაზია თავად ვარდიც და მისი მეტად დეკორატიული მუქი-მომწვანო-მოწითალო ტყავისებური პრიალა ფოთლებიც.

თავდადებული შრომა დაუფასდა ჟუჟუნა ავალიშვილს! ამ საშვილიშვილო საქმეში მას ხუთი წელია ერთგულად ეხმარება ციალა ბუკია.

ზაფხულში როცა თბილისის პაპანაქებას მცხოვრებნი განერიდებიან, მრავალი დამსვენებელი ჰყავს ბოტანიკურ ბაღსაც — განსაკუთრებით შაბათსა და კვირას.

გაზაფხულის გრილი ნიავი, მოჩქრიალე ჩანჩქერის ხედი, ბოტანიკური ბაღის მწვანე ხავერდოვანი ადგილები ცოცხალ მუზეუმში სამოგზაუროდ გიწვევთ.

**გიორგი დათუაშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.



# მხარი მომეცით, მეგობარო



მწველავები რაისა ნაზარენკო დი თამარ ცისკარიშვილი

ჩემი თხრობა ახმეტის რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენით უნდა დავიწყო. ზამთრის სუსხი ჯერაც არ იყო წელში გამწყდარი. ქვემო ალვანის კულტურის სახლის უზარმაზარი დარბაზი ხალხს ძლივს იტევდა. თვალსაჩინო ადგილზე ელავდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც რაიონს 1978 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის გადაეცა. საზეიმო განწყობილება გაორკეცდა, როცა პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვაჟა ბატიაშვილმა შეკრებილთ აუწყა, დღევანდელ ღონისძიებას გეორგიევსკელი სტუმრებიც ესწრებიანო.

ოთხიოდე წელია, რაც ახმეტისა და გეორგიევსკის რაიონების მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს, მაგრამ მათს ურთიერთობაში იმდენი სითბო, ერთმანეთის სიკეთისათვის იმდენი ზრუნვა იგრძნობა, კაცს ეგონება, ამ მეგობრულ შეჯიბრებას საუკუნეების ისტორია აქვსო.

ამ საზეიმო საღამოზე გავიცანი გეორგიევსკელი მექანიზატორი ალექსი ალექსეევი, მაღალი, მხრებგანიერი კაცი, რომელმაც ბევრი რამ მიამბო თავის საქმიანობაზე. თან დასძინა, ალბათ ახმეტელ მექანიზატორებსაც შევხვდები, ძალიან მინდა, რომელიმე მათგანთან შეჯიბრება გავაჩაღო, ეს მომავალ წარმატებებში დაგვეხმარებაო. მერე შევიტყე: ალექსი ალექსეევი გულდაწყვეტილი არ დარჩენილა, ქვემო ალვანელი თანამოსაქმე მურთაზ ალიაშვილი გაუცვნია. ისიც მოწონებით შეხვედრია მის წინადადებას. მას შემდეგ რუსი და ქართველი მექანიზატორები სისტემატურად აცნობენ ერთმანეთს თავიანთი შრომის შედეგებს.

დიდი დრო არ გასულა და ახმეტაში, მოსავლის ზეიმზე კვლავ ვიხილე გეორგიევსკელები.

მას შემდეგ მრავალჯერ იყვნენ გეორგიევსკელები ახმეტაში, ხოლო ახმეტელები — გეორგიევსკში. ახლა ახმეტის ერთ-ერთ ქუჩას გეორგიევსკის სახელი ჰქვია:

ამ ორი მოძმე ხალხის წარმომადგენლები თავიანთ ურთიერთობას კეთილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკული საქმეებით განამტკიცებენ. აბა როგორ გაუნელდება სიხარული პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ისაკ ძოძიშვილს, რომელმაც მაისკის საბჭოთა მეურნეობაში ახმეტელთა მიერ გაგზავნილი ვაზის ლერწით გაშენებული დიდებული ზვარი იხილა. ქართული ვაზი მშვენივრად შეგუებოდა სტავროპოლის მიწას, ფართოდ გაედგა ფესვი და უხვი მოსავლის იმედსაც იძლეოდა. ან შაუმიანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მწველავს ლუბა სკრიაგას, როგორ დაავიწყდება ალვანელი მწველავი თამარ ცისკარიშვილი, რომელიც თავს შინაურულად გრძნობდა და ბევრ რამეს ყვებოდა თავის გამოცდილებაზე.

ერთ მშვენიერ დღეს გეორგიევსკელებმა ახმეტელებს თავიანთი ავტომანქანებით ველის წითელი ჯიშის უშობლები ჩამოუყვანეს. ამ ძვირფას საჩუქარს უყურადღებოდ ხომ არ დატოვებდნენ. ახმეტელებმა იცოდნენ, რომ გეორგიევსკში ახალი კულტურის სახლი შენდებოდა, და რომ კულტურის სახლი ქალაქის დაარსების მე-200 წლისთავის ზეიმზე უნდა დამთავრებულიყო. იმაზე უკეთესს რას მოიფიქრებდნენ — ავტომანქანები შაბათობებზე ზეგეგმით გამოშვებული 1.000 კვადრატული მეტრი ახმეტური პარკეტით დატვირთეს და გეორგიევსკელებს გაუგზავნეს.

რამდენი ასეთი კარგი მაგალითის მოყვანა შეიძლება! უკვე წესად იქცა, რომ წლის დასაწყისში ერთმანეთს ეწვიონ, შეაჯამონ შეჯიბრების შედეგები და ახალი ხელშეკრულება გააფორმონ. და კიდევ: არც ერთი რაიონის ცხოვრებაში ამ ოთხი წლის მანძილზე არ მომხდარა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, მეგობრებმა გულით რომ არ გაიზიარონ. შარშან, მოსავლის ზეიმზე, ახმეტელებს კვლავ ეწვივნენ გეორგიევსკელები. ისინი სოფელ ოჟიოში, მცირემიწელთა სახელობის ზვარში რთველს დაესწრნენ, ყვარელწყალში დაათვალიერეს შინმოუსვლელი ჯარისკაცის დავით ხადილაშვილის სახლი, რომელიც სოფელმა მუზეუმად აქცია.

შარშან და წლეულს ახმეტას პატარა გეორგიევსკელებიც ესტუმრნენ, საპასუხო ვიზიტად კი ახმეტელი პიონერები იყვნენ გეორგიევსკში.

გეორგიევსკელებს პატარა ქართული ბიბლიოთეკაც აქვთ. ბიბლიოთეკის თაროებს ამშვენებს უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, „შუშანიკის წამება“, „ქართული ანბანი“... როგორც კი ახმეტაში წიგნების ახალი პარტია მოვა, თითო ეგზემპლარს გეორგიევსკში გზავნიან.

მალე შესრულდება 200 წელი, რაც გეორგიევსკში დადებულმა ტრაქტატმა სათავე დაუდო ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას. ამ მოვლენის ღსანიშნავად ახმეტელთა და გეორგიევსკელთა ურთიერთობა, შრომითი პაექრობა სულ უფრო ფართოვდება და საქმიანი ხდება.

**ე. ლებანიძე**

**პედაგოგის ფიქრები**

# დღე პირველი, დღე... უკანასკნელი?

ყველა ვხარობთ, როდესაც ვიგებთ, რომ ოჯახი გაბედნიერდა, გაახალგაზრდავდა, ოჯახში მოვიდა „ახალი სული“ (რძალი, სიძე), გაჩნდა ბავშვი, დაირწა აკვანი. და ამ სიახლეს, ამ გაახალგაზრდავებას, მთელი ოჯახი დიდიან-პატარიანად შეჰხარის.

სკოლა! სკოლაც ხომ ჩვენი საზოგადოების ერთი დიდი ოჯახია. სისხლსავსე, მჩქეფარე, ცოდნას დანაფებული, მომავლის იმედიანი, მომავლის ფრთების გამსწორებელი, საწრთვნელიან-მწვრთნელიანად ერთ დიდ, კეთილშობილ საქმეს შებმული, რომელსაც ნორჩი თაობის განსწავლა, მისი ზნეობრივ-კომუნისტური აღზრდა ეწოდება. და ამ დიდ ოჯახსაც ჰაერივით სჭირდება გაახალგაზრდავება. თორემ რა ვუყოთ აზრს, რომელიც აქა-იქ გაისმის, სკოლა ხომ არ დაგვიბერდაო?! ეს მეტად ყურადსაღები ამბავია: სკოლებში, პედაგოგთა ოთხმოცდაათი პროცენტი 50 წლის ასაკს არის გადაცილებული, სკოლას კი ახალგაზრდული შემართება, ენერგია სჭირდება; გვიხარია, რომ გვყავს ასეთი ცვლა.

მართალი არ არის, ძნელად აღსაზრდელი თაობა გვყავსო, რომ ამბობენ და ამიტომ დამწყები მასწავლებლები თავს არიდებენ, სიძნელეებსო: პირიქით, ჩვენ მეტად განათლებული, განვითარებული, ინფორმირებული და კეთილშობილი ბავშვები გვაბარია. მათთან მუშაობა ხანდაზმულ მასწავლებლებისათვის სასიამოვნო და საინტერესოა. მაშ რატომ იკლებს ამ სიამოვნებას ახალგაზრდა ცვლა? განა მათთვის უფრო ადვილი არ არის, ყმაწვილებთან ზომიერი მეგობრული ურთიერთობის დამყარება სწორედ ისე, როგორც ამას ჩვენ ვახერხებდით ამ 30 წლის წინათ?

25-26 წლის ჭაბუკის ან ქალიშვილის დაუდგრომელი ენერგია, მეხსიერება, გამჭრიახი თვალი და ყური საპენსიოდ გამზადებული, ხანდაზმული მასწავლებლის ენერგიას როგორ შეედრება! აქ რა არის გულდასაწყვეტი? სიმართლისათვის თვალის არიდება ვითომ გმირობაა?! ხომ შეიძლება საქმე ისე დავაყენოთ, რომ იგი ხელსაყრელი იყოს სკოლისათვისაც და პედაგოგთა თაობებისათვისაც, ისე ვეცადოთ, რომ თავი „დაჩაგრულად“ არავინ იგრძნოს, ანდა პირიქით „უმადურობა“ არავის დააყვედრონ. პირიქით, სტაჟიანი, ხნიერი მასწავლებლის გამოცდილების უდიდესი მარაგი, სწავლების მეთოდების საუკეთესო ცოდნა ისევ და ისევ ჩვენს საერთო ოჯახს, ჩვენს სკოლას უნდა მოვახმაროთ. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალგაზრდა მასწავლებლის უკმარისობა იგრძნობა. სად უნდა ვეძებოთ ამისი მიზეზი? — კურსდამთავრებულებმა მუშაობა რომ დაიწყონ, ისინი განათლების განყოფილებებში აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ. იქ კი, რა დასამალია, დიდი რიგია და კარგახანს უხდებათ ლოდინი. ამასობაში „დროებით“ იწყებენ სადმე მუშაობას. ეჩვევიან ადგილს და საბოლოოდ იქვე რჩებიან. თან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ლოდინში ალბათ დისკვალიფიკაციაც შეიძლება განიცადონ...

რაც შეეხება განყოფილებაში შექმნილ რიგს, ეს ლოგიკური შედეგი გახლავთ იმისა, რომ ხანდაზმულ პედაგოგებს ეძნელებათ სკოლიდან წასვლა, ადგილის გათავისუფლება. თუმცა არც ეს არის გასაკვირი: მათ უყვართ თავიანთი საქმე, ვერ შელევიან სკოლას, რომელსაც მეოთხედი საუკუნე ან უფრო მეტი შესწირეს!

ამიტომ, დიდად მისასალმებელია ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მასწავლებელს, სრული პენსიის გარდა, შეეძლოს ისევ იმუშაოს სკოლაში, 4 ან 5 გაკვეთილი მიეცეს (ეს კი 150 მანეთამდე შემოსავალია). ხედავთ, რა კარგად მოეწყო ყველაფერი — საყვარელ სკოლას არ ვტოვებთ, კვლავ შრომის ფერხულში ვართ ჩაბმული! მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ჩვენი ოთხი თუ ხუთი გაკვეთილი სანიმუშო, სამაგალითო უნდა იყოს მათთვის, ვინც ჩვენს სრულ ადგილზე მოვიდა, ვინც ახალგაზრდაა და დახმარება ესაჭიროება თეორიაში, მეთოდიკაში, პრაქტიკაში. დიდი გამოცდილების მქონე მასწავლებელს უდავოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ, პენსიაზე გასულ მასწავლებლებს, შეგვიძლია მოვაწყოთ შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, შრომისა და ბრძოლის ვეტერანებთან, პოეზიის საღამოები. მოკლედ, კაცს თუ გული ერჩის, საქმეს რა გამოლევს. ჩვენ მოვალენი ვართ ვასწავლოთ ახალბედა პედაგოგებს ყველა ის „საიდუმლო“, რომელსაც ვფლობთ სკოლაში ხანგრძლივი შრომისა და მოღვაწეობის შედეგად. მივცეთ გზა ახალგაზრდა მასწავლებლებს, მათს პირველს დღეს, მით უმეტეს, რომ იგი ჩვენს უკანასკნელ დღედ არასოდეს გადაიქცევა!

**ლილი ინაშვილი,**
**თბილისის 54-ე საშუალო სკოლის პედაგოგი.**



# გზის დასაწყისი

მაია ტატიშვილი ბავშვობაშივე ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას. მაშინ ის გასტროლებზე თან დაჰყავდა ხოლმე თავის დედას — უშანგ ჩხეიძის დას ქალბატონ ნინო ჩხეიძეს; პატარა მაიკო ხშირად მონაწილეობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მასობრივ სცენებში. მაია ამ თეატრში დაიბადა, გაიზარდა და დღესაც აქა აქვს ბინა. თერთმეტი წლის გოგონა უკვე მონაწილეობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებში („მედეა", „ვისია ვისი!" და სხვ.).

ჩხეიძეების სახლში, უშანგის უნიკალური პირადი ნივთებისა და სამუზეუმო მასალების გვერდით, მაიასაც აქვს საკუთარი პატარა არქივი, სადაც დღესაც ინახება მის მიერ ბავშვობისას შეკერილი თეატრალური კოსტიუმები, რომლებსაც იცვამდა „თეატრობანას" თამაშის დროს. მაია ტატიშვილი ხშირად მონაწილეობდა თეატრალური ინსტიტუტის საკურსო თუ სადიპლომო სპექტაკლებში, მაგრამ მაინც პოულობდა დროს, რათა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური თეატრის ცალკეულ დადგმებშიც ეთამაშა და თვალსაჩინო წარმატებასაც აღწევდა. საერთო მოწონება ხვდა წილად მის მიერ განსახიერებულ დადუნას (ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა". დადგმა ბორის ნიფურიასი).

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური თეატრის გარდა მ. ტატიშვილი ამიერკავკასიის რკინიგზელთა კულტურის სახლის პანტომიმის სტუდიის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. ამ სტუდიამ დიდი როლი შეასრულა მომავალი მსახიობის პლასტიკური მონაცემების დახვეწაში.

თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე მაია ტატიშვილმა ბევრი საინტერესო, დასახსომებელი სახე შექმნა. ესენია: პოლინკა (ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი"), ლენა (ვ. როზოვის „სიხარულის ძიებაში"), ოლივია (შექსპირის „მეთორმეტე ღამე"), ბეატრიჩა (კ. გოლდონის „ჭორიკანა ქალები"), ანგუსტიასი (ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი"), შაფაკი (მ. ქერიმის „მთვარის დაბნელების ღამეს"), ასია (ვ. გაბრილოვიჩისა და ე. რაიზმანის „პოემა ქრომის ჩექმაზე").

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაია ტატიშვილმა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიწყო მუშაობა. მან ხომ აქ აიდგა ფეხი, აქ გაატარა ბავშვობა, და დედაც და მამაც აქ ეგულებოდა.

მაია ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდაა, მაგრამ ბევრის თქმა შეიძლება მასზე, როგორც ნიჭიერ, პერსპექტიულ მსახიობზე. ის სერიოზულად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, უმნიშვნელო ეპიზოდურ როლზეც კი ისეთი გატაცებით მუშაობს, რომ ხშირ შემთხვევაში უსიტყვო პერსონაჟს სპექტაკლის ერთ-ერთ საინტერესო, გამოკვეთილ სახედ აქცევს ხოლმე.

მაყურებელთა ყურადღებას იპყრობდა ახალგაზრდა მსახიობის პირველი ნამუშევრები: ნანა (ლ. თაბუკაშვილის „ჭრილობა"), ბრიზეიდა (ვ. კანდელაკის „სოკრატე"), ბუხრის მწმენდავი (ფ. დიურენმატის „მილიარდერის ვიზიტი"), ლილი (რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი").

თანდათანობით, მ. ტატიშვილს უფრო თამამად ანდობენ მთავარი როლების შესრულებას. მსახიობიც ამართლებს ნდობას. თვით ის ფაქტი, რომ მას მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეში" მედეა ჯაფარიძის მიერ ჩინებულად ხორცშესხმული ლედი ჰარვეის როლის შესრულება დააკისრეს, ახალგაზრდა მსახიობის შესაძლებლობის აღიარებას მოწმობს. ასევე წარმატებით შეცვალა მ. ტატიშვილმა სოფიკო ჭიაურელი (სპექტაკლ — ვ. დელმარის „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს").

მაიას შემოქმედებით წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ო. მამფორიას „იეთიმ გურჯში" ელოს როლის განსახიერება. დრამატურგიული ტექსტი ძუნწია, მაგრამ მსახიობი მაინც ახერხებს დასრულებული სცენური პორტრეტის გამოკვეთას. ამ როლში ნათლად გამოჩნდა, რომ მ. ტატიშვილს უნარი შესწევს დაკვირვებულად და გულმოდგინედ იმუშაოს როლზე.

შთამბეჭდავია ელოს გარეგნული მონა-

ხაზი: თეთრი, გრძელი კაბა წითელი ქამრით, მრისხანედ შეყრილი წარბები, ამაყად აწეული თავი, მაგრამ ცრემლით სავსე თვალები, რაც სათანადო განწყობილებას ქმნის. სასიამოვნოა, რომ მაია ტატიშვილის ხელოვნება ყოველდღიურად იხვეწება.

თანამედროვე ქარაფშუტა, განებივრებული ქალიშვილის როზიტას საინტერესო სახე შექმნა მ. ტატიშვილმა კ. ბუაჩიძის სატირულ კომედიაში „ეზოში ავი ძაღლია!“). მსახიობი დაუნდობლად ამხილებს თავის გმირს, ჰკიცხავს იმ უარყოფით თვისებებს, რაც მას ოჯახურმა „აღზრდამ“, გარემო პირობებმა შესძინა, მაგრამ, ამასთანავე, თანაუგრძნობს კიდეც როზიტას — როზიტა ხომ უნებლიე მსხვერპლია მცდარი აღზრდისა, სხვა შემთხვევაში ხომ ის შეიძლება სანიმუშო თანამედროვე ქალიშვილი ყოფილიყო.

უარყოფითი გმირია ნონა (ლ. თაბუკაშვილის პიესაში „ძველი ვალსი“). ამ შემთხვევაშიც ეს ახალგაზრდა გოგონა, წრფელ და წმინდა სიყვარულს ანგარებას ამჯობინებს. ნონას იდეალი იოლი გზით



ჰ. დელმარი — „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს“ ლუსი კუპერი — ვერიკო ანჯაფარიძე; როდა — მაია ტატიშვილი



რ. ტომა. „რვა მოსიყვარულე ქალი“ კატრინი.

მოპოვებული ფუფუნება და მოჩვენებითი დიდება. მ. ტატიშვილი გარეგნული გულცივობით, შენიღბული ემოციებით წარმოადგენს ნონას შინაგან სამყაროს და მთელი სიცხადით გვაგრძნობინებს მისი მსგავსი ქალიშვილების მარცხის გარდაუვალობას.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მ. ტატიშვილმა კატრინის განსახიერებით (რ. ტომას „რვა მოსიყვარულე ქალი“). მსახიობმა სიცოცხლით სავსე, მოძრავი, რომანტიკულად მეოცნებე გოგონას მეტად შთამბეჭდავი პორტრეტი გამოკვეთა. ამ როლში კიდევ ერთხელ მთელი ძალით გაიბრწყინა მსახიობი ქალის ნიჭმა.

მაია ტატიშვილის ახალგაზრდული შემოქმედება ახლა იწყებს ინტენსიურ ცხოვრებას. შარშან მან ორი ახალი სახე შემატა თავის რეპერტუარს: მარი კაროლინა (სარდუს „მადამ სან ჟენი“) და ჩეა (დიურენმატის „რომულუს დიდი“).

მაყურებელი იმედოვნებს, რომ ახალგაზრდა მსახიობის შინაარსიანი და საინტერესო დღევანდელი დღე ხვალინდელი ნათელი შემოქმედებითი დღის წინამორბედია.

ოთარ მაცაბერიძე

# შუქი ჟანრისა

„ყოველი საქმე, სიყვარულითა ქმნილი, სათნო არს"...



დ. იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრა გოცირიძე ერთი იმათგანია, ვინც პატიოსნად განვლო ცხოვრების გზა-სავალი, ემსახურა რწმენას, უნაკლოდ აკეთა მაქსიმუმი იმისა, რაც შეეძლო.

საშა დეიდა ის ქალია, რომელსაც შეუძლია სტუმრად მისულ ჟურნალისტს წრფელი იუმორით უთხრას: — ვინ მოიცალა ჩემისთანა უმნიშვნელოსთვის. სულ არ მინდა ეს წერილი, ისე ჩამოვსხდეთ და მოვისაუბროთ...

* * *

როცა ალექსანდრა გოცირიძის ბინა დავტოვე, ქუჩაში გამოსულმა ჩემს თავს ვკითხე: რა მითხრა მან ისეთი... მართლაც, უსაშველო არაფერი... მაშ რაღამ მომხიბლა? გულისგულში ჩავკითხე თავს, არა პროფესიის გამო, არა დასაწერად და გამოსაქვეყნებლად, არამედ საკუთრივ ჩემთვის... და მივხვდი, რომ ეს განცდა კარგ ადამიანთან შეხვედრამ აღძრა...

* * *

— როგორც იტყვიან, მეც ვითომ ხალხოსნებივით ხალხში გავედი... მაისში ონის საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, სექტემბერში სკოლაში შემიშვეს მასწავლებლად. დაწყებით კლასებში კომპლექსური მეთოდით ვასწავლიდი, რომლის არსი არც მე ვიცოდი და არც სხვამ. მოვიდა ერთ დღეს ინსპექტორი, დამესწრო გაკვეთილზე და... ჯერ იმით გაოცდა, ბავშვები რომ გაციმცამებულნი ისხდნენ (ხომ იცით, დისციპლინა მთავარია!) მერე იმით, რომ არითმეტიკა, ქართული, ისტორია სულ ერთად გამოვკითხე და მოწაფენიც კარგად მიპასუხებდნენ... სანამ ქებას დამიწყებდა, ინსპექტორმა ერთი შეკითხვაც დასვა: ამას თუ მეტყვით, მაშინ დავიჯერებ, რომ მართლა კარგი მასწავლებელი ყოფილხართ — უნისკარტო ფრინველი თუ იცითო... შიშისაგან ავირიე, ელდით ნისკარტიანებიც დამავიწყდა. თუ ბავშვები ვერაფერს იტყოდნენ, მაშინ ხომ მე უნდა მეპასუხნა. ასწია ამასობაში ერთმა ხელი და ღამურაო, თქვა... ამოვითქვი სული. წავიდა ინსპექტორი ჩემი ქება-დიდებით და გამივარდა სახელი...

ასე უბრალოდ იწყებს თხრობას ეს მრავალი საქმის მოთავე ქალი. ალექსანდრა გოცირიძე ერთი იმათგანია, ვისაც ხალხში განათლება შეჰქონდა. იგი წერა-კითხვას ასწავლიდა და ამით გონებრივ თვალსაწიერს უფართოებდა იმ ადამიანებს, რომლებიც მათთვის გაუგებარი ნიშნებით აჭრელებულ ქაღალდებს ბოლოში ჯვარს უსვამდნენ ხოლმე.

რა შორს გვეჩვენება ახლა ის დრო! იქნებ ცოტათი ირონიული ღიმილის მომგვრელიც კი იყოს, მაგრამ, აბა ერთი ვცადოთ და გადავიხედოთ ორმოცი-ორმოცდაათი წლის უკან...

ვითომ „უმნიშვნელო" ღვაწლია?

ამისთვის ხოტბას შემოგკადრებთ, ქალბატონო საშა! თქვენს თაობას წილად ხვდა ცივილიზაციის მესვეურობა. იმ გადაკარგულ სოფლებში, სადაც ხალხი სამოვარსა და ნავთქურას ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა, თქვენ მაგალითი უნდა მიგეცათ სხვებისთვის. ჩამოგეხსნათ ჩადრი და თვალებამდე ახვეული თავსაფარი, გაგემართათ წარმოდგენები, კრებები, საჯარო გამოსვლები.

— ერთხელ ოსურ სოფელ „გადამშში" რაღაც ვოდევილსა ვდგამდით. სცენაზე ვდგავარ და ვამბობ — გათხოვება მინდა-მეთქი.. (როლი მქონდა ასეთი). სადღაც ბოლო რიგებში წამოდგა ერთი ბერიკაცი და დამიძახა „მესამე ცოლი გინდებოდეს და მოგიყვანდესო"...

კი, კურიოზებს რა გამოლევდა ამ სიგრძე გზა-სავალზე.., სამაზრო კომკავშირის კომიტეტის ცენტრმა საშა გოცირიძე ახალციხეში გაგზავნა, სადაც თითქმის მთელი მოსახლეობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. სკოლაში არ უშვებდნენ ბავშვებს, კრებაზე ქალი ვერ გაჭაჭანდებოდა.

მოხდა სასწაული და გიმნასტურიანი ახალგაზრდა მასწავლებელი ისე შეიყვარეს და იწამეს იქაურებმა, რომ ერთხელ, შუაღამისას ახალგაზრდა ვაჟი მოადგა კარებზე და სთხოვა, ცოლი მშობიარობს, წამომყევით, ექიმბაშებს არ მინდა ხელში ჩავუგდოო. თქვენ ორიოდ ტკბილ სიტყვას მაინც ეტყვით, დაამშვიდებთო...

ესეც ქალბატონ საშას მორიგი „უმნიშვნელო ღვაწლი" იყო. მისი სწამდათ, მას ენდობოდნენ.

* * *

საუბარს მივყვებით და წელთა სიმრავლეში ნამოღვაწარს ათიოდე წუთის სათქმელში ვატევთ. — არ ვიტყვი, ქვეყანა ავაშენე მეთქი, მაგრამ რამდენიმე კარგი ნაკადი კი გამოვუშვით.

ამას იმ წლებზე ამბობს, როცა მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში მუშაობდა აღმზრდელად. ისევ მახსენდება დიოგენი... ალექსანდრა გოცირიძეს იმ ბერძენი სკეპტიკოსის ფანარი ეპყრა ხელთ და გზა-კვალარეულ ბავშვებში სინათლის შუქით სიკეთის მცირეოდენ წილს ეძიებდა, რომ ბოროტებისკენ მიდრეკილი გულები გაეთბო, ადამიანურად აეძგერებინა.

— მე მიყვარდა ისინი. მათაც ვუყვარდი, — ამბობს ღვაწლმოსილი მანდილოსანი და წუხილით, ტკივილით, სინანულით იხსენებს ბავშვებს, იმათ უკუღმართ თავგადასავლებს.

რამდენიმე კარგი ნაკადის გამოშვება მისი ღვაწლიც იყო.

— ომის დროს ჩვილ ბავშვთა სახლში ვმუშაობდი. გვყავდნენ უდედმამო და ფრონტზე წასულთა ბავშვები... წუთით ჩერდება საშა. მერე იმ საშინელ წლებს იხსენებს. ომი იცქირებოდა ბავშვთა სევდიანი თვალებიდან. ცეცხლის წინა ხაზზე ყოფნა სჯობდა ამ გულისმომკვლელ სანახაობას.

ალექსანდრა გოცირიძე ამ ძნელ უბანზეც მამაცურად იღვწოდა. ისიც კი მოახერხა, რომ ერთი მანქანა მხოლოდ ბავშვთა სახლს მიამაგრა. მანქანები მაშინ ისე ჰქირდა, რომ ეს თითქმის გმირობას უდრიდა.

* * *

მრავლისაგან მხოლოდ მცირედი ითქვა. დანარჩენ სათხრობს ჯილდოები დაიტევს. მრავლისმეტყველია აგრეთვე წერილები, მოძღვნილი ლექსები. წლების განმავლობაში ალექსანდრა გოცირიძე თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სკოლებში ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებს მეურვეობდა.

სათქმელს სამერმისოდაც ვიტოვებთ და ბოლოს შვილზე, რძალზე, შვილიშვილებზე, აწ გარდაცვლილ მეუღლეზე ვეკითხები.

— შვილზე არაფერი დაწერო... ცნობილი მოფარიკავე იყო თავის დროზე, მაგრამ არ უყვარს, როცა რამეს ვიტყვით შინაურები მასზე.

ერთხელ კიდევ მაფრთხილებს, ნარკვევი არ მინდაო და ერთმანეთს ვემშვიდობებით.

* * *

შრომის, პიონერული და კომკავშირული მოძრაობის ვეტერანი, ვეტერან ქალთა საბჭოს წევრი ალექსანდრა გოცირიძე ჩვეულ საქმეს განაგრძობს: ვის ბინის საკითხი აქვს მოსაგვარებელი, ვის ტელეფონი, ვის საგზური სჭირდება. მარტოხელებთანაც ხომ უნდა შეიაროს. რა ჩამოთვლის ყველაფერს, რასაც ამ დაუცხრომელი ქალის ენერგია სწვდება.

— იცით, მე მიყვარს ჩემი საქმე... ასე მგონია, რაღაცას მართლა ვაკეთებ...

და ყოველი საქმეც, სიყვარულითა ქმნილი, სათნო არს.

**თინა ჩხაიძე**



მარცხნიდან — ქეთევან კაპანაძე, სანდრო მირიანაშვილი, შალვა ბადურაშვილი, ნინო ტოგონიძე, აკაკი დოკვაძე.

# ნინო ტოგონიძე

„ჩვიდმეტ წლამდე ნუ ამღერებ ამ გოგონას, მე მას თბილისში წავიყვან და მომღერლად დაგიბრუნებ“. — უთხრა ნატო დეიდას თელავში, ალექსანდრე რუსიშვილის ოჯახში სტუმრად ჩასულმა ჩვენმა სასიქადულო მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა, რომელიც დეიდაშვილი იყო ქალბატონ ნინოსი. მაგრამ, ნინოს ოცნებას თურმე განხორციელება არ ეწერა. სარაჯიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ მისი ცხოვრება სხვაგვარად გაკვალა:

ვის ეცალა მაშინ თბილისისათვის, კონსერვატორიისათვის, სოფლის ღარიბი კაცი იმაზე ფიქრობდა, შვილები როგორმე გამოეკვება.

მაგრამ ბუნებრივმა ნიჭმა და სიმღერის დიდმა სიყვარულმა ნინოს ფანდური და გიტარა აალებინა ხელში. მან თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხურ მუსიკას დაუკავშირა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მივიდა თელავის ხალხურ გუნდში, რომელსაც ბაბალაშვილი ხელმძღვანელობდა. გოგონა სიამოვნებით მიიღეს და სულ მალე ანსამბლის სოლისტიც გახდა; იმღერა „დაიგვიანეს“, „მრავალჟამიერ“, „ჩაკრულო“. მალე ნინო თბილისს ეწვია ოლიმპიადაზე, რომელიც ფილარმონიის ბაღში გაიმართა. ნინო იგონებს: „კონცერტის შემდეგ ბაღში სკამზე ვიჯექი. ამხანაგები და მეგობრები მამხნევებდნენ, წარმატებას მილოცავდნენ. ვხედავ, ჩემთან მოვიდა მაღალი, ყელმოღერებული ქალი, ხელი მომკიდა, მომიალერსა, „ყოჩაღ გოგო!“ მითხრა და გამცილდა. მე არასოდეს მენახა ის ქალი. გამიკვირდა, ვინ უნდა იყოს ნეტა ეს დარბაისელი ქალი მეთქი. შემდეგ შევიტყე, რომ ჩემი საყვარელი სიმღერა „დაიგვიანეს“ საუკეთესო შემსრულებელი, სახელგანთქმული მომღერალი მარო თარხნიშვილი ყოფილა“.

მალე ნინო თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და სანდრო კავსაძის გუნდში განაგრძობს მოღვაწეობას. შემდგომ ნინომ იმღერა სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც გრიგოლ კოკელაძე, აქვსენტი მეგრელიძე, შალვა მშველიძე, ვალერიან ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობდნენ.

ნინოს მრავალი კონცერტი აქვს ჩატარებული ომის პერიოდში ჰოსპიტლებში, მეომრებთან, რისთვისაც დაჯილდოებულია მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“.

1950 წელს კი ქალბატონი ნინო ჩემი თხოვნით ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში სამუშაოდ მოვიდა, სადაც თავის სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად, სამი ათეული წელი ემსახურა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. ის ახალგაზრდა მომღერლებს ასწავლიდა და ასწავლის სიმღერის შესრულების ოსტატობას და თვითონაც დიდი ხალისით მღერის სახალ-

ხო ანსამბლ „სინათლეში“, რომლის შექმნაში თავადაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, ერთ-ერთი საყვარელი მომღერალია აკაკი ქარსელაძისათვის, რომელიც ხანგრძლივად ხელმძღვანელობდა ანსამბლ „სინათლეს“.

ნინომ დიდი ამაგი დასდო ვოკალურ კვარტეტს, რომელიც 1950 წელს შეიქმნა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში. სიტყვამ მოიტანა და, უნდა გითხრათ, რომ 1950 წელს ნინო ტოგონიძე, ქეთევან კაპანაძე, შალვა ბადურაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ვმოღვაწეობდით მსახიობ-მომღერლებად. მარიკა ბარათაშვილის პიესა „მარინეს“ რეპეტიციები მიმდინარეობდა.. სპექტაკლს მუსიკალურად აფორმებდა კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე. ბატონმა არჩილმა შექმნა სიმღერა, რომელსაც ქალბატონმა მარიკამ „საპოვნელა“ დაარქვა. მას ქალბატონი მედეა ჯაფარიძე ძალიან კარგადაც მღეროდა! ჩვენ, ოთხეულმა, მოვისურვეთ, რომ გიტარის თანხლებით შეგვესრულებინა ეს მეტად მელოდიური სიმღერა. მართლაც ვისწავლეთ, შემდეგ კი რადიოშიც ჩავწერეთ. ამ პატარა ყვავილის სიმღერა მოეფინა მთელ საქართველოს. მას ყველგან და ყველა მღეროდა, „საპოვნელას“ მოჰყვა კომპოზიტორების — გიორგი ჩუბინიშვილის, ნიკო სულხანიშვილის, ანდრია ყარაშვილის, სანდრო მირიანაშვილის, რევაზ ლაღიძის, გიორგი ცაბაძის, შოთა მილორავას, ოთარ დიხამინჯიას სიმღერები, რომელთაგან ბევრი ჩვენი საესტრადო მუსიკის ოქროს ფონდშია შესული.

ნინოს მონაწილეობით შესრულებული სიმღერები ჩაიწერა და გაიგზავნა საზღვარგარეთ საფრანგეთში, ჩილეში, გერმანიის და პოლონეთის რესპუბლიკებში. ნინო თავისი საამო ხმით ამშვენებდა კოტე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებს. ესენია: „მისი ვარსკვლავი“, „რაიკომის მდივანი“, „მეფე ერეკლე“, „კაცია ადამიანი“, „რიჩარდ მესამე“ და სხვა მრავალი.

ნინო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადების ორგზის მონაწილეა, პირველისა (1936 წ.) როგორც გუნდის სოლისტი, მეორისა (1958) — როგორც თეატრის მსახიობ-მომღერალი; იგი საკავშირო ფესტივალის ლაურეატია და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც იმოგზაურა, სადაც ყველგან მოწონება ხვდა წილად.

1965 წელს მთავრობამ მხატვრულ თვითმოქმედებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ნინო ტოგონიძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭა.

ნინო 70 წლისაა, მაგრამ დღესაც ახალგაზრდული ენერგიით მღერის. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა, საამოდ სალხენი სიცოცხლე მანამდე, სანამ იცოცხლებს მისი „ოროველა“, „საპოვნელა“ და „პირველი სიყვარული“.

აკაკი დოკვაძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.





ბიბლიოთეკა

# ჭიათურელი ოლიმპიელი

ქალთა ბალახის ჰოკეი პირველად მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იქნა შეტანილი. ამ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმში ჩვენი ქვეყნის ბალახის ჰოკეისტ ქალთა ნაკრებმა დაამარცხა მრისხანე მეტოქე ინდოეთის ნაკრები და ოლიმპიური „ბრინჯაო“ მოიპოვა. ნაკრებ გუნდში მარჯვენა განაპირა მცველად ჭიათურელი გოგონა ნელი გორბატკოვა თამაშობდა.

1975 წელს ჭიათურის რუსული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ — ნელი უკვე დასრულებულ სპორტსმენად მოგვევლინა.

— ჩვენი სკოლის უპირველესი სპორტსმენი იყო, — იხსენებს მისი ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი დავით მუმლაძე, — ბიჭებსაც კი არ უდებდა ტოლს, ზოგჯერ მათთან ერთად ფეხბურთსაც თამაშობდა.

ნელი გორბატკოვა იყო კარგი მაგიდის ჩოგბურთელი, მოფარიკავე, კალათბურთელი, — ხშირად დაუცავს მშობლიური ქალაქის სპორტული ღირსება.

1977 წელს სპორტის სიყვარულმა ნელი სტავროპოლის ფიზკულტურის ინსტიტუტში მიიყვანა. მალე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მეოხებით შეიტყო, რომ უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში ბალახის ჰოკეისტ ქალთა გუნდი შექმნილა; დაუყოვნებლივ გაუგზავნა წერილი გუნდის მწვრთნელს მირონ კიმს. გულისხმიერმა პედაგოგმა უცნობი გოგონას თხოვნა დააკმაყოფილა და ის გუნდში მიიწვია. სწორედ ამ პერიოდში ქ. ანდიჟანში საკავშირო ტურნირი „მეგობრობა“ იწყებოდა, რომელშიც ანდიჟანის „ანდიჟანკაც“ იღებდა მონაწილეობას. ნ. გორბატკოვა ჯერ სათადარიგო შემადგენლობაში მიიღეს, სამი თვის შემდეგ კი ძირითად გუნდში ჩარიცხეს.

— თავდაპირველად მიძნელდებოდა ჰოკეის თამაში. თუმცა ფიზიკურად სხვებზე ნაკლებად არ გამოვიყურებოდი, — იხსენებს ნელი. ერთი წლის შემდეგ გაზეთ „ანდიჟანსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში მწვრთნელმა მირონ კიმმა ერთ-ერთი ტურნირის შესახებ თქვა: „გოლების გატანის თავისებური რეკორდი დაამყარა მცველმა ნელი გორბატკოვამ“.

ერთ-ერთ პერიოდში ნელი სერიოზულად დაშავდა, სამი თვე ფეხი თაბაშირში ჰქონდა. საეჭვო გახდა მისი შემდგომი წინსვლა. მაგრამ მწვრთნელის მხარდაჭერით იგი კვლავ მწყობრში ჩადგა, 1979 წლიდან კი ხუთ თანაგუნდელთან ერთად სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოვიდა.

„ანდიჟანკამ“ საბჭოთა კავშირის ბალახის ჰოკეისტ ქალთა პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში გაიმარჯვა. დღეს ეს გუნდი უკვე ორგზის ჩემპიონი გახლავთ. იგი მრავალი საკავშირო ტურნირის ლაურეატია, უფრო სწორად, „ანდიჟანკა“ ჩვენი ქვეყნის ქალთა ბალახის ჰოკეის ლიდერია. ამ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ნელი გორბატკოვა ანდიჟანის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის მოწინავე სტუდენტია.

24 წლის სპორტსმენ გოგონას აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ, როგორც თვითონ გვითხრა, განზრახული აქვს მშობლიურ რესპუბლიკას დაუბრუნდეს და „შავი ოქროს“ ქალაქში ბალახის ჰოკეის, ამ უძველესი სპორტის სახეობის დანერგვას მოჰკიდოს ხელი.

გაბრიელ ბარჯაძე,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიკეთე

ამას წინათ ერთი ღვაწლმოსილი ადამიანი გარდაიცვალა — დამსახურებული პედაგოგი. გამოსათხოვარი სიტყვა სკოლის დირექტორმა ასე დაასრულა: რაც მთავარია, ბავშვები უყვარდაო! ეს ისეთი ინტონაციით იყო ნათქვამი, ლამის ოვაციას ითხოვდა ორატორი — ნახეთ რა მჭევრმეტყველი ვარ, ახალი ამერიკა აღმოგიჩინეთო.

აბა, რა განსაკუთრებული თვისებაა მასწავლებლისათვის ის, რომ, ნუ იტყვით და, ბავშვები ჰყვარებია! უმალვე იბადება საპირისპირო კითხვა: რატომ არ უნდა ჰყვარებოდა განსვენებულს ბავშვები?! თუ მასწავლებელს ბავშვი არ ეყვარება, ექიმს — პაციენტი და ფეხბურთელს — ბურთი, მაშინ რაღად ერქმეოდა ერთს პედაგოგი, მეორეს — მკურნალი და მესამეს კიდევ ტყავის ბურთის ოსტატი?

ის რომ, მასწავლებელს ბავშვი უყვარს, გახლავთ მისი (მასწავლებლის) ეთიკური ნორმა, ქცევის საზომი და სხვა არაფერი. ყოველ შემთხვევაში, იგი ჯერ კიდევ არ არის ზნეობრივი გმირობა, რასაც ესოდენ საჭიროებს ჩვენი ჰუმანური საზოგადოება. რა ზნეობრივ გმირობაზეა ლაპარაკი?! ინებეთ! მოსწავლე დაობლდა, აღარც მშობლები ჰყავს და აღარც ვინმე მიმხედავი. მასწავლებელმა იშვილა იგი; იშვილა და საკუთარი შვილისგან არ გამოარჩევა, ისე ზრდის. აი, როდის შეხვდება აღტაცებით საზოგადოება ორატორს! აი როდის ფასობს ზეაწეული ინტონაცია!

* * *

აკაკის სამშობლო სოფლიდან, სხვიტორიდან, სამანქანო გზა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ღრმა ხეობაში მიიკლაკნება. ექვსიოდე კილომეტრზე პატარა კურორტიც გამოჩნდება — კვერეთი; თუმცა რაღა პატარაა, როცა ქვეყნის ყველა კუთხიდან ნახავთ იქ დამსვენებლებს. კვერეთი ნამდვილად სავანე ალაგია ლბილი და ზომიერი კლიმატით, გარს შემორტყმული უზარმაზარი მთებითა და დიდი მგოსნის საოცნებო მდინარით, რომელსაც იმერული კოპნია სახელი ჩიხურა ჰქვია. აქ, ამ ვიწრო ტაფობშია გაწოლილი აკაკი წერეთლის სახელობის პანსიონატი „კვერეთი“, სადაც მთელი სეზონი მოსვენება კი არა, სულის ამოთქმის საშუალებაც არა აქვთ მასპინძლებს, რადგან ურიცხვი დამსვენებელი აწყდებათ.

ნელი ლავრენტის ასული ცარციძე პანსიონატის მოლარედ მუშაობს და აგერ თერთმეტი წელიწადია, პარტიულ ორგანიზაციას უდგას სათავეში. ამ ჯალაურთელ ქალს, მასწავლებლის ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს, როგორც თვითონ იტყვის, უშრომლად და უზრუნველად ერთი საათიც არ უცხოვრია. უკვე თექვსმეტი წლისა ფერმაში მუშაობდა, სწავლობდა ჭიათურის მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში, მუშაობდა წამლების გამნაწილებლად საავადმყოფოში, სწავლის პერიოდში, ცხრამეტი წლისა შევიდა პარტიაში, გაიარა სამოანგარიშეო კურსები, ანზორ ზამბახიძესთან ერთად შექმნა მტკიცე და ნამუსიანი ოჯახი. ჰყავს შვილები: ქალს ნანას ეძახიან, ვაჟს — ნუგზარს...

ნელი გულწრფელი პატივისცემით იგონებს პანსიონატის ყოფილ დირექტორებს მიხეილ ქრისტესიაშვილსა და ვლადიმერ ზამბახიძეს. რასაკვირველია, არც ახლანდელ ხელმძღვანელობას ტარიელ წერეთელსა და ივანე ჭილლაძეს მოიხსენიებს აუგად.

მკითხველი, ვატყობ, დუნედ მიჰყვება არცთუ გერგილიან სტრიქონებს, სმენით კი ისმენს მონაყოლს, მაგრამ საცაა გული აიცრუოს — მაგისთანები მილიონიაო. სწორიც ბრძანდებით — ასეთები მილიონია და მილიონჯერაც მსმენია ამდაგვარი დახასიათება, მაგრამ რასაც ნელი ცარციძეზე იაროსლაველი ლარისა არტამონოვა მოგვიყვა, კეთილი ადამიანის ხასიათია. „ივლისის შუა რიცხვებში ჩამოვედით კვერეთში მე და ჩემი სტუდენტი გოგონა ანია, საგზურები გვქონდა, მაგრამ პანსიონატის ადმინისტრაციამ მაინც ვერ დაგვაბინავა, ვერ მიგვიღო, არც ერთი თავისუფალი ადგილი არ აღმოაჩნდათ. არ დაგიფიცავთ და გავბრაზდით — „იერიში მივიტანეთ დირექციაზე“...

ნელი: „დაღამდა. ვერა და ვერ გამოვძებნეთ ლარისასა და ანიასათვის ბინა. დირექტორის კაბინეტშიაც კი გვეწვინა ხალხი. ზოგი, პატივცემულო, სამი-ოთხი დღის დაგვიანებით ჩამოდის და უკან ხომ ვერ გავაბრუნებთ! რავარი საქმეა აქედან კამჩატკის პეტროპავლოვსკში კაცის გაბრუნება!.. დედა-შვილი კი, ამასობაში, ლამის ატირდნენ. მივედი და ჩემი დამტვრეული რუსულით დავუწყე ლარისას დამშვიდება: რა გაქვთ სავიშვიშო, ბოლობოლო, ჩემთან წამობრძანდებით, სხვიტორში (ოჯახი სხვიტორში აქვთ), სახლი მაქვს, კარი მაქვს, წვრილფეხიც ბლომად მყავს და მსხვილფეხიც. კიდევაც გიმასპინძლებთ და კიდევაც მოგასვენებთ-მეთქი. შორს დაიჭირეს;. ერთმანეთს გამომცდელად გადახედეს და მეუბნებიან, თქვენს ოჯახში რა გვესაქმებაო!.. მე მარტო მოლარე არ გეგონოთ, პატორგანიზაციის მდივანიც გახლავართ-მეთქი, ვუთხარი და შევატყვე, ჭკუაში დაუჯდათ. როგორც იქნა, ჩემოდნებს დასწვდნენ, მაგრამ კიდევ ერთხელ ჩამეძიენ, შინ კაცები ხომ არა გყავთო. უკაცო ოჯახს ღმერთმა ნუ მომასწროს მეთქი! ქმარი მყავს შინ, შეუძლოდ არის ცოტა და ბიჭი, მერვე კლასშია მეთქი. გამომყვნენ“.

ლარისა: „არ ვიცი, როგორ გითხრათ, როგორ გადმოგცეთ ჩვენი აღტაცება ნელის საქციელით. ასეთ რამეს წიგნებში თუ წავწყდომივარ. პირდაპირ თან გადაგვყვნენ. დიდი თუ პატარა თვალებში შემოგვციცინებდა და გვეპატიჟებოდა, ახლა ეს მიირთვით, იქნებ უფრო გეამოთო. ორ დღეში ნამდვილად მოგვაჯადოვა ნელიმ და მისმა ოჯახმა. ჩემ სიცოცხლეში ვეღარ დავივიწყებ ნელი ლავრენტის ასულს და საცა კი ხმა მიმიწვდება, ყველგან ვილაპარაკებ ამ კეთილ ხალხზე. საერთოდ, ქართველებს, საოცარი თვისება გაქვთ — ყველას საოცრად ეიოლება თქვენთან დამეგობრება“. (იაროსლავლი, შავირინის, 26. ბ. 14.)

არ დაგიმალავთ და ცოტა კი მომეძალა სიამაყის გრძნობა...

ვფიქრობ, აქედან ზნეობრივ გმირობამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

ასე გულგაბადრული და სულდავანებული გავეშურეთ მთელი ოჯახი თერჯოლისაკენ მსუბუქი მანქანით; გზადაგზა აღ-



მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ტაცებული ვყვებოდი ნელი ცარციძის კაიქალობის შესახებ. უეცრად საშინელი ტკივილი ვიგრძენი მუცლის არეში და მძღოლმაც არ დააყოვნა — ზესტაფონის ცენტრალურ საავადმყოფოში მიკრა თავი. კვირადღე იყო და მთელი სამორიგეო ორად-ორი ექიმის ამარა დარჩენილიყო. მათ შორის ერთი ზიზი რობაქიძე გახლდათ. სანდომიანი, მშვიდი სახე და უაღრესად თბილი ხმა აქვს ქ-ნ ზიზის. ყურადღებით მომისმინა, გულდასმით გამსინჯა, დიაგნოზი დამისვა და პირველი დახმარება აღმომიჩინა. თხუთმეტ წუთში ტკივილები გამიქრა, მაგრამ წამოდგომას მაინც არ მანებებდა.

ახლა მოხუცი ქალი შემოვიდა სამორიგეოში, ხელი ჰქონდა გადასახვევი. წესით პოლიკლინიკაში უნდა მიბრძანებულიყავით, მაგრამ, რადგან მოსულხართ, უკან ხომ ვერ გაგაბრუნებთ და შეუხვია ხელი. მერე ლოყებღაჟღაჟა მანდილოსანიც შემოვიდა ქოშინით — მიშველეთ, ზიზი ექიმო, წნევამ ამიწიაო. გაუზომა წნევა, ნემსიც გაუკეთა. როდესაც მანდილოსნები წავიდნენ, მერე ჰკითხა მედდას, ჟურნალში თუ გაატარეთო. გაუტარებელი აღმოჩნდა, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია, ისე სხვათაშორის ჩაილაპარაკა: მაშ ამდენი წამალი და სახვევი ვის დავაწეროო.

გამომშვიდობებას ვაპირებდი, როდესაც ვიღაც მამაკაცმა ზიზი ექიმთან ახალგაზრდა, გაფითრებული ქალი შემოიყვანა სვენებ-სვენებით. ქალი გულზე იკიდებდა ხელს და მძიმედ სუნთქავდა. — ავტოსადგურშივე შევნიშნე, ცუდად რომ გახდა. ტყიბულელი ყოფილა და, რადგან მიმხედავი არავინ აღმოაჩნდა, მე მოგიყვანეთ, გასინჯეთ რა ჭირსო. თქვენ ვინ ბრძანდებით-მეთქი, ვკითხე მამაკაცს. ზესტაფონ-ჭიათურის ავტობუსზე ვმუშაობ მძღოლად, მარტაძე გახლავართ, გივი მქვია სახელადო. კაი კაცი ყოფილხარ-მეთქი, ცერშემართულმა დავაწიე სამორიგეოდან გამავალს. რა სალაპარაკოა, ჩემო ბატონოო, ახლაც ყურში ჩამესმის იმერულად მოკაუჭებული მისი ხმა.

როდესაც მანდილოსანიც ჩემსავით მოსულიერდა, გვითხრა: მე ნუნუ რაფავა ვარ, ტყიბულში ვცხოვრობ და იმ კაცს პირველად ვხედავო. დიახ, დიახ, გაოცებული ამბობდა — პირველად ვხედავო!..

საკმაოდ ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე საბჭოთა ადამიანის მორალურ, ეთიკურსა და, საერთოდ, ზნეობრივ სისპეტაკეზე. ვლაპარაკობთ და, როგორც ჰგავს, უმეტესად არც თუ უსაფუძვლოდ.

მთავარია, შეგეძლოს კეთილი ადამიანის დანახვა!

მთავარია, გაგაჩნდეს მისი დანახვის სურვილი!

ეს არის მთავარი, თორემ ზიზისთანა, გივისთანა და ნელი ცარციძისთანა ადამიანებს რა გამოლევს ამ დალოცვილ მიწა-წყალზე!..

გიზო ზარნაძე



# მეგობრის ხსოვნას

სიმღერა უყვარდა, ძალიან უყვარდა. მისი ლამაზი, საოცრად ნაზი და საოცრად ტკბილი ხმა ჯერ ინსტიტუტის კედლებს ეფინებოდა, მერე თბილისის საკონცერტო დარბაზებს და, ბოლოს, — გრამფირფიტებზე ჩაწერილმა მთელი საქართველო ამღერა თბილისზე, სამშობლოზე, მეგობრებზე, სიყვარულზე, სიცოცხლეზე... დასთან ერთად მღეროდა. მათ დები ჩაფიჩაძეების სახელით იცნობდნენ...

რომელ ქვეყანაში, რომელ ენაზე, რომელ მომღერალს არ უმღერია რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე", მაგრამ ისე ტკბილად, ისე გულშიჩამწვდომად არავის შეუსრულებია, როგორც დებმა ჩაფიჩაძეებმა აახმიანეს. ამიტომ არის, რომ დღესაც გაისმის „ნეტავ სად არის, კიდევ ცა..." დები ჩაფიჩაძეების შესრულებით.

სცენაზე გუგული მარტოც გამოდიოდა. დასთან ერთადაც. მის გამოჩენას ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ, გარეგნობაც ისეთივე ლამაზი და მიმზიდველი ჰქონდა, როგორც ხმა. სტუდენტობის წლებშივე ხვდა წილათ აღიარება, სიყვარული და დაფასება. ის კი ისეთივე ჩუმი, მოკრძალებული, სათნო და კეთილი დარჩა, როგორც ბავშვობაში იყო, — მეგობრების, ახლობლების, ადამიანების უსაზღვროდ მოყვარული.

სიცოცხლე უყვარდა, ძალიან უყვარდა, სიმღერით შეჰხაროდა ცის სილაჟვარდეს, კვირტის გაშლას, ყვავილთა სუნთქვას, მაგრამ დაუზამთრდა. ძალიან ადრე დაუზამთრდა, ავადმოსახსენებელი სენი შეეყარა და გულს სევდა შეეპარა. სიცოცხლის იმედს მაინც არ ჰკარგავდა, არ წუწუნებდა, თავისი ტკივილით არავის აწუხებდა, ჩუმად, უხმოდ იტანჯებოდა. შეხვედრისას ისევ შენ მოგიკითხავდა, ისევ შენ ამბავს გაიგებდა და მარტო რჩებოდა თავის წუხილთან, თავის სატკივართან.

იმ დღეს „თბილისქალაქობას" ზეიმობდა მთელი საქართველო. „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო". — კიდით კიდემდე გაისმოდა და ატკბობდა მოზეიმე ხალხს. ბევრმა, ძალიან ბევრმა კი არ იცოდა, რომ ეს მომღერალი, — დებიდან უმცროსი, ამ სიმღერასავით ლამაზი და მიმზიდველი, — სარეცელს მიჯაჭვული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, სიკვდილს ებრძოდა, ებრძოდა ახლობლების, მეგობრების იმედით, წარსულის ტკბილი მოგონებებით, უკვე ნამღერი სიმღერებით...

რა ნაადრევად გაწყდა სიმი, რა უდროოდ მოაკლდა ლამაზ სიმღერებს გუგული ჩაფიჩაძის საოცრად ნაზი, საოცრად ტკბილი ხმა!..

ლეილა ბიწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლამაზად რომ გამოიყურებოდეთ

კოსმეტიკის გამოცდილი ბულგარელი სპეციალისტი მარია კოცევა აი როგორ რჩევებს გვაძლევს:

უპირველეს ყოვლისა გადაივლეთ თბილი შხაპი. თუ თქვენ ისეთი თმა გაქვთ, რომ ვარცხნილობა დიდ ხანს გიძლებთ, ალბათ ორი დღის წინ გექნებათ იგი გაკეთებული და არ დაგავიწყდეთ, შხაპის მიღებამდე წყალგაუმტარი ჩაჩი დაიხუროთ.

როცა ტანს შეიმშრალებთ, ფეხებზე მკვებავი კრემი და შემდეგ პუდრი წაისვით (ამდენი ჯაფის შემდეგ ფეხები ყველაზე უფრო ილლება).

იღლიებქვეშ ნაზსუნიანი „დეზედორატი" შეიხხურეთ და პუდრი შეიფრქვიეთ.

ახლა სახის ჯერი დგება. ვიდრე დეკორატიულ კოსმეტიკას შეუდგებოდეთ. სახე რიგიანად უნდა გაისუფთაოთ. ჯერ გაიკეთეთ გვირილის კომპრესი. ორ სუფრის კოვზ გვირილას დაასხით ორი ჩაის ჭიქა წყალი და ნელ ცეცხლზე 5-10 წუთი ხარშეთ. სამფად დაკეცილი დოლბანდი ცხელ გვირილის ნაყენში დაასველეთ და სახეზე 2-3 წუთს დაიდეთ. ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ.

შემდეგ სახე გაიწმინდეთ ვისაც ცხიმიანი კანი აქვს ლოსიონით და ვისაც მშრალი — კოსმეტიკური რძით.

დადგა ნიღბის გაკეთების დრო!

ორი ჩაის კოვზი საფუარი („დროჟი") ფაფასავით ათქვიფეთ მცირეოდენ წყალში. დაუმატეთ 2-3 წვეთი წყალბადის ზეჟანგი (აფთიაქებში იშოვნით), ასევე შეიძლება ნიღბის გაკეთება თეთრი თავსაბანი მიწით. თუ არც საფუარი გაქვთ და არც თეთრი მიწა, მაშინ ერთი კვერცხის ცილა ძალიან ათქვიფეთ, ისე რომ ღრუბელივით დადგეს. დაუმატეთ ორი-სამი წვეთი ლიმონის წვენი. ვისაც მშრალი კანი აქვს — ორი სამი ჩაის კოვზი არაჟანი ათქვიფეთ დანაყილ და მერე გაცრილ გვირილის ფხვნილში. არაჟნის მაგივრად უმ რძეზე მორთმეული ნალებიც შეიძლება გამოვიყენოთ.

სახეზე ნიღაბს რომ წაისვამთ, ცოტა ხნით წამოწექით, ოღონდ ეცადეთ ყველაზე მაგარ — ხმელ საწოლზე (უმჯობესია, თუ გაქვთ ხის ტახტზე) წამოწვეთ, ფეხები მაღალზე (ორ-სამ ბალიშზე) დააწყვეთ, თავქვეშ ბალიში საჭირო არ არის. დაწექით სწორად, თვალებზე დაიდეთ გვირილის ნაყენში დასველებული ბამბა. იწექით 15-20 წუთს. ეცადეთ სხეული, რაც შეიძლება მოადუნოთ.

როცა ნიღაბს მოიშორებთ, სახე თბილი წყლით დაიბანეთ, თუ მშრალი კანი გაქვთ თხლად გადაისვით მკვებავი ან დღის კრემი.

ახლა უკვე შეიძლება დეკორატიული კოსმეტიკას შეუდგეთ:

მთელ სახეზე თხელ ფენად გადაისვით თხევადი პუდრი. ფერმკრთალებმა ყვრიმლებზე ცოტა „რუმიანა" წაისვით და თვალების მიმართულებით შეიზილეთ. ოდნავ შეიფრქვიეთ ფხვიერი პუდრი. ყელიც არ დაგავიწყდეთ!

ფაქიზად, თანაბრად წაისვით პომადა, რომელიც იმ ლაქის ფერისა უნდა იყოს ფრჩხილებზე რომ გისვიათ, და თქვენ თმასა და ტანსაცმელსაც ეხამება. ზედმეტი პომადა რბილი ქაღალდით მოიცილეთ და მერე პომადის მეორე ფენა წაისვით, შემდეგ ზედმეტი პომადა კვლავ ქაღალდით მოიცილეთ.

ქუთუთოებზე წაისვით ისეთი ტონი, რომელიც თქვენ კაბას უხდება. საღამოსათვის ისეთი ფერიც შეგიძლიათ წაისვათ, რომელიც დღისით მკვეთრი გეჩვენებათ. ქუთუთოებისათვის ახლა მოდაშია მოიისფრო-მოიასამნისფრო ტონები. ოფიციალური შეხვედრებისათვის შეიძლება ოქროსფერი და ღია ყავისფერიც. წამწამები ტუშით შეიღებეთ, როცა ტუშს ერთ ფენად წაისვამთ, ოდნავ მიაფრქვიეთ პუდრი და ტუში ერთხელ კიდევ გადაისვით. წამწამები უფრო სქელი და დიდი გამოგიჩნდებათ.

ახლა ისღა დაგრჩენიათ სუნამო იპკუროთ, უკვე არჩეული სამკაულები გაიკეთოთ და სარკესთან უკანასკნელად შეტრიალდეთ.

კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა?

წარმატებას გისურვებთ!

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# პოეტის აღსარება

„მარად ისმის: მარადისი
სიყვარული ძნელია.
ვის ისარი მოხვდა მისი,
მუდამ ცრემლის მღვრელია“.

გალაკტიონ ტაბიძის ეს ცნობილი ლექსი პოეტმა წიგნ „მანონ ლესკოზე“ ჩაანერა თავისი მწარე სიყვარულის მოსაგონარად. ამის თქმისათვის მას საამისო საბაბი ჰქონდა:

დიდმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა სიკვდილზე ცოტა ხნით ადრე, თავის წერილში, — „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!“ (ჟურნალი „ჭოროხი“ № 2, 1980 წ), — მოასწრო გაეცნო მკითხველებისათვის გ. ტაბიძის უიღბლო სიყვარულის ამბავი. ლ. გუდიაშვილის წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოგვეცა საშუალება გაგვეგო მერი შერვაშიძის ვინაობა. იგი გადამდგარი გენერალ-მაიორის, რუსეთის მესამე სათათბიროს საბჭოს წევრის, პროკოფი ლევანის ძე შერვაშიძე-ჩაჩბას ქალიშვილი იყო (დედით — დადიანი).

გ. ტაბიძემ თავის ყმაწვილობისას ეს ულამაზესი ასული ქუთაისში გრაფინია ზარნიკაუს სასახლესთან ნახა. საქართველოს პოეტების მეფეს მერი მთელი გატაცებით შეუყვარდა.

ჩვენ მერი შერვაშიძის რამდენიმე ფოტოსურათი შევაგროვეთ (მისი სურათებისა და მასზე საინტერესო ცნობების გადმოცემისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ სოხუმელებს: გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანს, მედეა გრიგოლიას და რუსუდან ზაიცევა-შერვაშიძეს).

მერი შერვაშიძის სურათების ცქერისას, რწმუნდებით, რომ მგრძნობიარე პოეტისათვის იგი ჭეშმარიტ მუზად ქცეულა.

სურათებიდან (განსაკუთრებით, 1915 წელს გადაღებული ფოტოებიდან) თვალს სიამოვნებას ანიჭებს მისი სინატიფე და განუმეორებელი სილამაზე; სწორედ ამ მშვენებამ შთააგონა გ. ტაბიძეს ქართული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში: „მერი“. აღსანიშნავია, რომ ამ სურათს მგოსანი თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ინახავდა, მანამ, სანამ დასახატავად არ გადასცა ლადო გუდიაშვილს. მხატვარმა ეს დავალება მხოლოდ 1973 წელს შეასრულა, როცა გალაკტიონი ცოცხალი აღარ იყო. სურათთან ერთად ჟურნალ „ჭოროხში“ გამოქვეყნებულია ლადო გუდიაშვილის ზემოთ აღნიშნული წერილიც.

მერი შერვაშიძის პორტრეტი, გარდა ლ. გუდიაშვილისა, დახატეს ცნობილმა რუსმა მხატვარმა სორინმა და პირველმა პროფესიონალმა აფხაზმა მხატვარმა ალექსანდრე შერვაშიძე-ჩაჩბამ.

მერი შერვაშიძე-ჩაჩბა დღეს 90 წელს გადაცილებულია და საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ცხოვრობს. ამგვარად, მომხიბლავმა მერიმ სიცოცხლის ბოლო ხანს დიდ გალაკტიონს თავისი სევდიანი რომანის აღსარება ათქმევინა დიდ მხატვართან.

შალვა ნაჭყებია

ელექტრონული
ბიბლიოთეკა





# ლუბოვ ორლოვა

ცნობილი საბჭოთა კინომსახიობის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ლუბოვ ორლოვას სახელი ჭეშმარიტად დამკვიდრდა მსოფლიო კინოს ისტორიაში. იგი იმ კინომსახიობთაგანია, რომლებმაც ოცდაათიანი წლების საბჭოთა კინოს საერთაშორისო აღიარება მოუტანეს.

ლ. ორლოვა დაიბადა 1902 წლის 29 იანვარს, ქ. ზვენიგოროდში; სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიასა და საბჭოთა საბალეტო სკოლაში. 1926-33 წლებში მოღვაწეობდა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში. კინოში 1934 წელს გადავიდა სამუშაოდ და პირველივე როლით ფილმში: „პეტერბურგის ღამე" იპყრობს მაყურებლის ყურადღებას. თ. დოსტოევსკის ნაწარმოების მიხედვით შექმნილ ამ ფილმში, ლ. ორლოვა ასახიერებდა პროვინციელი მსახიობის —გრუშენკას მეტად კოლორიტულ სახეს და, ალბათ, ამ იღბლიანმა დებიუტმაც განსაზღვრა მომავალი კინოვარსკვლავის ოსტატობის თავისებურება, ჟანრი, მიმართულება... სწორედ ამ სახით შთაგონებულმა რეჟისორმა გ. ალექსანდროვმა მიიწვია ახალგაზრდა მსახიობი ფილმ „მხიარულ ახალგაზრდობაში". დრომ, წლებმა კიდევ უფრო განამტკიცა ამ შეუდარებელი კომედიური ტალანტით აღსავსე მსახიობის უდიდესი პოპულარობა მთელ მსოფლიოში. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც თავისი ღიმილისმომგვრელი სევდით, უბრალოებით, იშვიათი მუსიკალური ხმით „დაწანწალებს" ორლოვას ანიუტა და დღესაც გაუხუნარი ღიმილით სთავაზობს მაყურებელს სიხარულს.

ლ. ორლოვას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა მუსიკალური კინოკომედიის მამამთავრის გ. ალექსანდროვის, მისი მეუღლისა და შემოქმედის სახელთან. მათი ღირსსახსოვარი დუეტი კიდევ ერთხელ გამობრწყინდა მეორე ფილმში („ცირკი", 1936 წ.). მსახიობმა შინაგან ექსპრესიას ჩინებულად შეუხამა გარეგნული ჟესტი, ქორეოგრაფიული ილეთების დახვეწილი მანერა და შთამბეჭდავად წარმოგვიდგინა ამერიკელი ცირკის მსახიობის მარიონ დიქსონის დრამატული ხასიათი, ის წმინდა ქალური ტკივილები, რომელიც არგუნა რასობრივმა დისკრიმინაციამ კაპიტალურ სამყაროში. ამ როლის განსახიერებისათვის მსახიობს 1941 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ლ. ორლოვას ეკრანული გმირები გამორჩეულად შეიყვარა ხალხმა. თითოეული მათგანი განსხვავებული მსახიობური საშემსრულებლო ოსტატობით ხასიათდება. ძნელია დაივიწყო ფოსტალიონ დუნიაშას ემოციური სიმღერები და ცეკვები (კინოკომედია „ვოლგა-ვოლგა", 1938 წ.), ტანია („ნათელი გზა", 1940 წ.). ამ ეკრანულ ხასიათებში განსაკუთრებით გამოვლინდა ლ. ორლოვას შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი, კომედიური სიმსუბუქე, ხალასი არტისტიზმი, სიცოცხლისუნარიანობა, ლირიზმი. მსახიობის წარმატების საფუძველია მისი მიმზიდველი შინასამყარო, მუსიკალურობა, ვოკალური ოსტატობა, პლასტიკურობა. გავიხსენოთ მის მიერ განსახიერებული გმირები; თითქოს ყეყეჩი, თითქოს ცბიერი და ყოყლოჩინა ანიუტა („მხიარული ახალგაზრდობა"); ღიმილიანი, მხიარული, ენერგიით აღსავსე დუნიაშა-სტრელკა („ვოლგა-ვოლგა"), რომელიც თავგამოდებით ებრძვის ბიუროკრატ ბივალოვს (ი. ილინსკი); შრომისმოყვარე ტანია მოროზოვა („ნათელი გზა"). რომელიც შემდეგ ინჟინერი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხდება. გშირთა ეს გალერეა, ერთგვარად, მსახიობის თანამედროვე საბჭოთა ქალების ბიოგრაფიას ეწყვილებოდა და გარკვეულად ხელს უწყობდა ლ. ორლოვას არნახულ პოპულარობას.

ლ. ორლოვა შემდეგში ვიხილეთ ფილმებში — „გაზაფხული" (1947 წ.), „ელბაზე შეხვედრაში" (1949 წ.) და სხვ. ასევე წარმატება ხვდა მსახიობს რეჟისორ მაჩერეტის ფილმში „ინჟინერ კოჩინის შეცდომა", გ. როშალის ფილმებში („არტამანოვების საქმე" და „მუსორგსკი"). დიდი ხელოვანი 1978 წელს გარდაიცვალა.

ლ. ორლოვამ, თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით, დიდი ოსტატობით, ეკრანზე წარმოგვიდგინა დაუოკებელი ოპტიმიზმი, საბჭოთა ადამიანების მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრება.

ბონდო გაგნიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩაიკოვსკის გაცილება

# მამულის მოამაგე

როდესაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს კონან ანდრონიკაშვილს ვეწვიე, ჩემი ყურადღება რამდენიმე ფერწერულმა ტილომ მიიპყრო.

— ვინ არის ავტორი ამ ნატურმორტებისა და პეიზაჟებისა? ვეკითხები ბატონ კონანს.

— ჩემი მამა, იოსებ ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი.

მერე წელთა სიმრავლისაგან ფერგადასულ ალბომს მაწვდის. ყურადღებას იპყრობს სურათები, გამოჩენილ ადამიანთა წერილები. ვაკვირდები ოჯახის არქივის იშვიათ ფოტოსურათებს, დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც ჩემი მასპინძლის სახელოვანი მამის მოღვაწეობას გვამცნობს.

— ნუთუ ეს დიდი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკია?

— დიახ, პეტრე ჩაიკოვსკი, ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი; ეს კი მ. იპოლიტოვ-ივანოვია ქართველ მოღვაწეთა შორის.

მასპინძელმა წერილი გამომიწოდა.

„იოსებ ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილის საიუბილეო კომიტეტს! გთხოვთ კეთილ ინებოთ და გადასცეთ პატივცემულ იუბილარს შემდეგი:

„ავადმყოფობამ ხელი შემიშალა პირადად გხლებოდით და ქედმოხრით სალამი მომეძღვნა თქვენთვის.

მართალია, დღეს თქვენი სამსახურებრივი მოღვაწეობის იუბილეს იხდიან თქვენი პატივისმცემელნი, მაგრამ ვინც იცის თქვენი საზოგადოებრივი ღვაწლი, მოვალეა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ დღესასწაულში.

მე ცოცხალი მოწმე ვარ თქვენი დიდი გარჯისა ქართული მუდმივი თეატრის აღორძინებისათვის და უმადურობა იქნებოდა ჩემის მხრით, რომ გავჩუმებულიყავ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული მუდმივი თეატრის აკვანი პირველად თქვენს ოჯახში დაირწა. მთელი სამზადისი პირველი ქართული წარმოდგენის გამართვისათვის 1879 წელს, და შემდეგ წლებში. თქვენი მხურვალე და ავტორიტეტული მონაწილეობით წარმოებდა.

დედაშვილური გამხნევება და ალერსი, ჩვენ, ახლად ფეხადგმული თეატრის მუშაკებმა ვპოვეთ პირველად თქვენსა და საერთოდ ქართული კულტურის წიაღში, ქართული თეატრი საუკეთესო ყვავილთაგანია, — ამას ქართველი საზოგადოება უნდა უმადლოდეს თქვენისთანა იშვიათ თანამგრძნობელ და სამშობლო ქვეყნის წარმატებისათვის თავდადებით მომუშავე მოღვაწეთ.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი უაღრესი პატივისცემა და უმდაბლესი სალამი.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი
მარიამ საფაროვა-აბაშიძისა.

1926 წ. თებერვლის 8. დედაქალაქი.

ბატონი კონანი იგონებს იმ დღეებსაც როდესაც გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, იოსებ ანდრონიკაშვილთან ერთად „აბესალომ და ეთერის უკვდავ პარტიტურებს არჩევდა: „მამა საუცხოო მუსიკოსი იყო. მთელი თავდავიწყებით გრძნობდა მის ძალას. როდესაც ზაქარია ფალიაშვილი როიალზე „აბესალომ და ეთერიდან“ რომელიმე ნაწყვეტს შეასრულებდა, მამა პირველ ვიოლინოს უკრავდა, ოჯახში მუსიკის საამო ჰანგები ილვრუბოდა. მე ვიყავი მოწმე, როგორ იბადებოდა „აბესალომ და ეთერის“ უკვდავი არიები.“

ვინ იყო იოსებ ანდრონიკაშვილი?

იგი დაიბადა 1855 წლის 22 ივლისს თბილისში, განათლებული სამხედრო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ მელაანში მიიღო. იქვე დაეუფლა ფრანგულ და ინგლისურ ენებს, შემდეგ კი 12 წლის იოსები თბილისში ჩამოიყვანეს და ცნობილი საზოგადო მოღვაწის ი. ყიფიანის პანსიონატში მიაბარეს, სადაც მისაღები გამოცდები ფრანგულ ენაზე ჩააბარა.

სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ი. ანდრონიკიშვილი, სახელოვანი ქართველი ინჟინრისა და მეცნიერის მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილის რჩევითა და რეკომენდაციით, უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში გაემგზავრა და 1881 წელს წარმატებით დაამთავრა გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ი. ანდრონიკაშვილი საქართველოში დაბრუნდა, და ოთხ ათეულ წელზე მეტი შეალია საქართველოში საინჟინრო საქმის აღმავლობას.

პეტერბურგში სწავლის დროს იგი გაიტაცა დედაქალაქის მუსიკალურმა და თეატრალურმა ცხოვრებამ. ზაფხულის არდადეგების დროს, როდესაც თბილისში ჩამოდიოდა, ხშირად მართავდა სპექტაკლებს, რომლის დეკორაციებსაც ზოგჯერ თვითონ ხატავდა, ხოლო შემოსავალი პეტერბურგის ღარიბ ქართველ სტუდენტებს ხმარდებოდა. აღსანიშნავია, რომ მის სპექტაკლებში პირველად მიიღეს მონაწილეობა შემდგომში გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა ქალებმა მარიამ საფაროვა-აბაშიძისამ და ნატო გაბუნიამ.

მაგრამ მარტო ამით როდი იყო ღირსშესანიშნავი ი. ანდრონიკაშვილის ცხოვრება. მან დიდი ამაგი დასდო ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებასაც. პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე მონაწილეობა მიიღო რუსეთის მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების დაარსებაში.

სხვებთან ერთად, ი. ანდრონიკაშვილის ინიციატივით მალე პეტერბურგიდან მოიწვიეს სპეციალისტი მუსიკოსები, მათ შორის კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი (რომელიც შემდეგ თბილისის კონსერვატორიას ჩაუდგა სათავეში) და მისი მეუღლე, სიმღერის მასწავლებელი ვ. ზარუდნაია. იოსებ ანდრონიკაშვილი ერთხანს თვითონაც ასწავლიდა პირველ ქართულ მუსიკალურ სასწავლებელში, იგი საუცხოოდ უკრავდა ვიოლინოზე.

იოსებ ანდრონიკაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიდი რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის ძმასთან ანატოლი ჩაიკოვსკისთან. სწორედ მან გააცნო იოსებ ანდრონიკაშვილს თავისი სახელოვანი ძმა და აი, 1886 წლის ზაფხულზე, პეტრე ილიას ძე პირველად ჩამოვიდა თბილისში. საოპერო თეატრმა და მუსიკალურმა წრეებმა სტუმრებს ღირსეული შეხვედრა მოუწყეს. ოპერის თეატრში სიმფონიური მუსიკის დიდ კონცერტზე შესრულდა ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

პეტრე ჩაიკოვსკი ოჯახში ეწვია გამოჩენილ ინჟინერს, სადაც საკვარტეტო მუსიკის საღამოები იმართებოდა ხოლმე. მან რამდენიმე საღამო-კონცერტშიც მიიღო მონაწილეობა — კვარტეტთან ერთად ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა.

ი. ანდრონიკაშვილი დიდი სიხარულით ხვდებოდა გენიალური კომპოზიტორის ყოველ ჩამოსვლას. საოჯახო ალბომში შენახული სურათები გვიჩვენებს პეტრე ჩაიკოვსკისა და იოსებ ანდრონიკაშვილის მეგობრულ ურთიერთობას.

1890 წელს ჩაიკოვსკი ისევ ეწვია თბილისს. მის პატივსაცემად ოპერაში სიმფონიური კონცერტი გაიმართა. სადირიჟორო პულტთან ავტორი იდგა. ორკესტრში ჩელოს პარტიას ი. სარაჯიშვილი ასრულებდა. დარბაზში მქუხარე ოვაცია გაისმა, როცა გამოჩენილ კომპოზიტორს ოქროთი მოვარაყებული სპილოს ძვლის სადირიჟორო ჯოხი მიართვეს. თაიგულებით აივსო სცენა. ჩაიკოვსკის სიტყვით მიმართეს მ. იპოლიტოვ ივანოვმა, ფრანგული საოპერო დასის წარმომადგენელმა და სხვებმა. ეს ჩაიკოვსკის უკანასკნელი სტუმრობა იყო საქართველოში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ი. ანდრონიკაშვილი პატრიოტული მგზნებარებით ხელმძღვანელობს საგზაო მშენებლობას. იგი, როგორც გამოცდილი სპეციალისტი, უმაღლეს სამეურნეო საბჭოში დანიშნეს გზათა მშენებლობის სამმართველოს უფროსად, ხოლო 1923-26 წლებში საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს ხელმძღვანელობდა. 1926 წლის თებერვალს საინჟინრო-ტექნიკურმა საზოგადოებამ ი. ანდრონიკაშვილს დაბადების 70-ე და მოღვაწეობის 45-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე გადაუხადა. ქართული ტექნიკური ჟურნალი „ტექნიკა და ცხოვრება“, რომლის დაარსების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე თვითონ ი. ანდრონიკაშვილი გახლდათ, გულთბილად გამოეხმაურა სახელოვანი მამულიშვილის საღამოს. „ცხოვრების მატიანე მეტად სასტიკია, აფასებს და იყვარებს მას, ვინც თავისი შინაგანი დუღილით იწვის და ენთება, რომ შემდგომი მოდგმის თვალში ძვირფასი სამკაულით დაამშვენოს საუკუნის მოღლილი სულის მწვერვალები. ის, რაც მე-19 საუკუნემ მოგვცა მომავალი მოდგმისათვის. ძვირფასი და სანუკვარია, პირველი შეხედვით, თუმცა უფერული გვეჩვენება, თუ დავაკვირდებით, აქ ეყრება საფუძველი ახალ ძიებას და ამ ძიებაში ბრძოლის ხალისს აცხოველებს მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივები. სწორედ ასეთ პიროვნებას ეკუთვნის ჩვენი სახელოვანი იუბილარი, ღვაწლმოსილი ინჟინერი და კულტურის დიდი მოამაგე იოსებ ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი“.

საიუბილეო საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. მთავრობამ ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობისათვის იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ქართველი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ანდრონიკაშვილი 1940 წლის 5 ივლისს გარდაიცვალა 85 წლისა.

ნუნუ ჩიხრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვის უნდა კარგი ქმარი?

(განცხადება)

ძვირფასო გაუთხოვარო და განათხოვარო გოგონებო, ქალებო და ქალბატონებო! დიდი ხანია მე და ჩემს ძმაკაცებს გვაწუხებს ერის გამრავლების პრობლემა. ამიტომ ძალიან მინდა შევირთო რაც შეიძლება კარგი ქალი და მყავდეს ბევრი შვილი. ამ საშვილიშვილო საქმეში კი თქვენზე უკეთ ვინ დამეხმარება? დასაწუნი მამაკაცი არ გეგონოთ, პირიქით — სამჯერ შევირთე ცოლი და არცერთმა არ გამიმართლა იმედი. პირველმა შარი მომდო, პატიოსანი კაცი ხარ, წმინდა ხელფასზე ცხოვრობ და შენთან ჩემმა მტერმა გაძლოო. არც შარის თავი მქონდა მაშინ და არც ფული, ამიტომ დიდი სიამოვნებით გავშორდი.

ჩემს მეორე მეორე ნახევარს შვილის გაჩენაში შეეშალა ხელი, თან დედისერთა იყო და ჩასიძება მთხოვა, რასაც ლოგიკურად მოჰყვა ბედის მეორე ვარსკვლავის ჩემგან საუკუნოდ იზოლირება.

რაც შეეხება მესამე მეორე ნახევარს, ვფიცავ წინა ორს, ჩემი ნებით არ გავშორებულვარ, თვითონ მიმატოვა, რადგან, ჯერ ხასიათით, შემდეგ ფინანსურად და, ბოლოს, ეკონომიურად ვერ შევეწყეთ ერთმანეთს.

ამჟამად გადაწყვეტილი მაქვს კიდევ ერთხელ და საბოლოოდ შევირთო უკანასკნელი ცოლი. რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ ჩემს თავზე: ლამაზი არ მეთქმის, მაგრამ ვარ საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი, მაქვს ერთოთახიანი, გარემონტებული ბინა, ტელეფონი, სარეცხი და საკერავი მანქანები, მტვერსასრუტი, კარადა, მაგიდა, ორი საწოლი, სამი მუთაქა, ორი ბუმბულის ბალიში და თეთრეული — ყელამდე. სოფელში მყავს ერთი მეწველი ძროხა, ორი თხა, გოჭები, ათი ფრთა დედალი ინდაური, ცხრა იხვი, 16 ქათამი და ერთი საკალანდო ღორი. მაქვს კეთილმოწყობილი საქათმე და კომფორტაბელური სასიმინდე, ღორის სადგომი და პატარა ოდა-სახლი. შემნახველ სალაროში 15 წლის წინათ შევიტანე 25 მანეთი, დღემდე, ალბათ, პროცენტები მოემატებოდა. გარდა ამისი, ვდგავარ მსუბუქი მანქანის რიგში, როგორც კი ცოლად გამომყვებით იმ წუთში მომცემენ, ასეა შეპირებული ადგილკომი...

პაპიროსს არ ვეწევი, ღვინოს არა ვსვამ, ქალებისაკენ, რომ მომკლათ, ვერ გამახედებთ. ჩემი გაუთხოვარი და უცოლო მეგობრები მეუბნებიან, ანგელოზი ხარ და ფრთები გაკლიაო, მაგრამ ჯერჯერობით ისევ მიწაზე დავდივარ და არც ილლიები მექავება.

ხელფასი წნევაზე მაღალი მაქვს, გემოვნება — საშუალო, მოთხოვნილება — დაბალი. თუ დამიწუნებთ, ჩემს უცოლო ძმაკაცებს მაინც გაჰყევით ცოლად, მით უმეტეს, ისინი ჩემზე უკეთესები არიან, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. აქ ჩემი გაბედნიერება კი არ არის მთავარი, არამედ ერის გამრავლების პრობლემა. ერი კი, როგორღა გამრავლდება, თუ თქვენ არ გათხოვდებით და ჩვენ უცოლოებად დავბერდებით?!

გარდა ზემოთაღნიშნული თვისებებისა, კარგად მეხერხება სიყვარულის, სიზმრებისა და კროსვორდების ახსნა, დამთავრებული მაქვს საშუალო სკოლა, ექვსთვიანი საშოფრო და ერთწლიანი კულინარიის კურსები (ჩემი სამივე ცოლი გიჟდებოდა და ჭკუას კარგავდა ჩემს მიერ დამზადებულ კერძებზე), მოკლედ, ვარ ნამდვილად წესიერი კაცი. ვიპარავ მხოლოდ დროს სამსახურში და, ღვინოს — სუფრასთან.

ვინც თანახმაა გამომყვეს ცოლად მე, ან ჩემს უცოლო მეგობრებს, მოგვწეროს, ან გვესტუმროს მისამართით: აყალმაყალის ქუჩა, ბოდიალის ჩიხი, „საქთბილწყვილკენტქორწინცნობბიუროს“ საალიმენტო განყოფილება.

განცხადების ტექსტი შეადგინა:

**ვანო ცინცაძემ.**



## ირანული ფერწერა — „ქალიშვილი სარკით“

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში ირანში შაჰის ინიციატივით შეიქმნა სამხატვრო სახელოსნოები, სადაც თავი მოიყარეს ქვეყნის საუკეთესო ოსტატებმა, მხატვრებმა და კალიგრაფისტებმა. თვით შაჰ-აბას, მეორე, ევროპელი მოგზაურის, ტოვერნეს გადმოცემით აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელოსნოების მუშაობაში; მისი უშუალო ხელმძღვანელობით, დაკვეთითა და ხშირად ესკიზებითაც კი სრულდებოდა რთული სამხატვრო სამუშაოები, რომელთა დონეც შაჰის გემოვნებით განისაზღვრებოდა, სამხატვრო სამუშაოების ორგანიზაციის ასეთი სისტემა გრძელდებოდა XIX ს. შუა ხანებამდე.

„ქალიშვილი სარკით“, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ, შესრულებულია სასახლის ერთ-ერთი კედლისათვის.

გარეკანის პირველ გვერდზე — „ზაფხული“ — ს. კილაძის ფოტოეტიუდი; მეორეზე — გოგი ოჩიაური — „მადლიერი დედა“. მ. ჩაჩუას ფოტო; მეოთხეზე — ირანული ფერწერა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 8/VI-81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-81 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 134.100. შეკვ. 1600. უე 08524

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა



მოდელების ავტორი მხატვარ-მოდელიორი

**ნანა ცქვიტაია**

1. სარაფანი — კომბინირებულია წელში გადაჭრილი, ვიწრო ბრეტელებით; სარაფანს ამშვენებს ვიწრო მარმაში.

2. სარაფანი ასიმეტრიული შესაკრავით. ქვედა კაბა ირიბადაა აჭრილი. სარაფანს ამშვენებს ბეიკები და დიდი ხელოვნური ყვავილი

3. ტრიკოტაჟის ქსოვილის საზაფხულო სარაფანი ვიწრო ბრეტელებით ქვედა კაბა ირიბადაა აჭრილი გულისპირს და წელის ხაზს ამშვენებს მარმაში

4 სწორი სილუეტის ტრიკოტაჟის ქსოვილის სარაფანი

გულისპირი ანაოჭებულია ქვედა კაბა სწორია ვიწრო გამოკერილი ნაკეცებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნ 84/121

ფასი 30 კაპ

ინდექსი 76178